ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 25 ნოემბერი, 2020 | №245 (8509) | ფასი: 60 თეთრი

ბაჩალიაშვილის საქმის საიდუმლო მასალები პროკურატურამ ადვოკატებს არ მისცა



გვ.5

გვ.5

ხაშურში გალფის ბენზინის სადგურიდან 65 ლარი გაიტაცეს

დაკავებულია 2 პირი

„ირაკლი ღარიბაშვილი ისევ პრემიერი გახდება“

გვ.3

ლადო სადღობელაშვილი: „თეა წულუკიანი პარლამენტის სპიკერი იქნება“

„მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ განახლებულ მინისტრთა კაბინეტში ვერ ვიხილავთ ქალბატონ ტიკარაძეს“

„ივანიშვილს წასვლა აქვს გადაწყვეტილი და პარტიის კალაძისთვის ჩაბარება“

გვ.4

გიგლა ბარამიძე: „უცხოელ მეგობრებს დიდი მადლობა ყველაფრისთვის, მაგრამ ჩვენთვის ამოსავალი ჩვენი ხალხია“

„ოპოზიცია ქუჩაში თუ დარჩება, ამომრჩეველს დაკარგავს“

გვ.3

რამაზ საყვარელიძე: „ოპოზიციის მოთხოვნა უფრო ადეკვატური უნდა გახდეს. როგორ უნდა დაინიშნოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები? მას ხომ სჭირდება კანონიერი საფუძვლები?!“

პაატა შეშელიძე: „ქვეყანა „ლოქდაუნს“ გადაიტანს, მაგრამ მათხოვარი იქნება“

გვ.2

„ეკონომიკის და ჯანდაცვის დაპირისპირება შეცდომაა და თავზე მოგვახვიეს, ეკონომიკის დახურვით ჯანდაცვა დაასამარეს“

გიგა ბოკერია: „რა შუაშია აქციები მეორე ტალღისთვის მომზადებასთან?“

გვ.4

ISSN 1987-9385

4 მაია ცქიტიშვილი: „კორონავირუსის გავრცელება საპროტესტო აქციებს უკავშირდება“

2 კახა კალაძე: „მინდა მჯეროდეს ოპოზიციის გონივრულობის“

5 ვახტანგ ჩიქოვანთან კონტაქტი ჰქონდა მის ადვოკატს, რომელსაც კორონავირუსი დაუდასტურდა

6 ტრამპი ბაიდენისთვის ხელისუფლების გადაბარებას დათანხმდა

პაატა შეშელიძე: „ქვეყანა „ლოქდაუნს“ გადაიტანს, მაგრამ მათხოვარი იქნება“

„ეკონომიკის და ჯანდაცვის დაპირისპირება შეცდომაა და თავზე მოგვახვიეს, ეკონომიკის დახურვით ჯანდაცვა დაასამარეს“

იაგო ნაცვლიშვილი

ქვეყანაში მძიმე პოლიტიკური, ეკონომიკური და ჯანდაცვის კრიზისია. კორონავირუსის გავრცელების თვალსაზრისით საქართველო უკვე პირველ ადგილზეა მსოფლიოში ყოველ 100 000 მოსახლეზე გაანგარიშების თვალსაზრისით. ჩამოშლილია ეკონომიკაც. უკვე არის საუბარი მორიგ „ლოქდაუნზე“, მაგრამ რამდენად გაუძლებს ქვეყანა მორიგ დახურვას, ეს მთავარი კითხვაა. მართალია მთავრობა ჯერ მხოლოდ წერტილოვან შეზღუდვებზე საუბრობს, მაგრამ არავინ იცის, რა იქნება ხვალ.

რა გველოდება ეკონომიკაში და რაში მდგომარეობს გამოსავალი? გაუძლებს თუ არა ქვეყანა მორიგ დახურვას და აქვს თუ არა ამ ხელისუფლებას კრიზისიდან გამოსვლის რესურსი? – ამ და სხვა კითხვებზე „ახალი თაობასთან“ ინტერვიუში „ახალი ეკონომიკური სკოლის“ პრეზიდენტი **პაატა შეშელიძე** საუბრობს.

– შექმნილია მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა. თქვენ როგორ ხედავთ ამ მძიმე ვითარებიდან გამოსავალს? რა უნდა გაკეთდეს ამისთვის?

– ამისთვის საჭიროა სამი მთავარი რაღაცის გაკეთება. პირველი, ეს არის ის, რომ ბოლოს და ბოლოს უნდა მიეხედოს მონეტარულ პოლიტიკას და გამოირიცხოს ადამიანური ფაქტორი, რაც გულისხმობს იმას, რომ გადავერთოთ ფიქსირებული კურსის პოლიტიკაზე. ეს იქნება კომპრომისული. ეს გამორიცხავს მონეტარული ბერკეტების გამოყენებას, რაც ნიშნავს, რომ სუბიექტური ფაქტორი გამორიცხული იქნება ამ მიმართულებით.

მეორე, აუცილებელია მკვეთრი რეფორმა – ხარჯების შემცირება, იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყანას ამის თავი არ აქვს.

მესამე, ეს არის ის, რომ მოხდეს რაც შეიძლება მეტი სექტორის კერძო დაფინანსებაზე გადასვლა. იმიტომ, რომ სხვაგვარად რეალურად შეუძლებელია იმის განსაზღვრა, რაზე დაიზოგოს თანხები და რა არის საჭირო, რომ გაკეთდეს, ანუ დაიხარჯოს ფული.

– სრულად პრივატიზება უნდა მოხდეს თუ რას გულისხმობთ კერძო სექტორის დაფინანსებაში?

– რაც შეიძლება მეტად უნდა მოხდეს ეს ყველა სექტორში, სადაც კი ეს შესაძლებელია, რათა კერძო ინვესტორებმა მიხედონ საქმეს. ისე არ უნდა გამოვიდეს, რომ საჭიროა თუ არაა საჭირო, ეს ფინანსდებოდეს.

– როდესაც ქვეყანაში ასეთი მძიმე ვითარებაა, ამ დროს კერძო ინვესტორები შემოვლენ ქვეყანაში?

– კერძო სექტორიდან ზოგი შემოვა, ზოგი ვერ შემოვა. ამიტომაც არის საჭირო, რომ უკეთესი პირობები შევთავაზოთ. უკეთესი პირობები კი ბევრად მეტი ეკონომიკური თავისუფლების შეთავაზებაა.

– ხომ არ ფიქრობთ, რომ საჭიროა გადასახადების კიდევ უფრო მეტად შემცირება იმისათვის, რომ როგორმე გადარჩეს კერძო სექტორი და ბიზნესი?

– რასაკვირველია, გადასახადების შემცირება იქნებოდა გონივრული გზა. განსაკუთრებით, ეს იყო კარგად გამოხატული საარჩევნო კამპანიის დროს. თითქმის ყველა პოლიტიკური პარტია გვპირდებოდა, რომ ასეთ რეფორმას გაატარებდა. ეს იდეა, ჩემი აზრით, სწორი იდეაცაა და დროულიც არის.

რაც შეეხება პრაქტიკას, რა და რა მიმართულებით სჯობს, ეს უკვე იმაზეა დამოკიდებული, რა ამოცანას დავისახავთ. პირადად მე მიმაჩნია, რომ რაც უფრო ნაკლებია გადასახადი, ადამიანისთვის მით მეტი შანსია, რომ დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები, მაგრამ ამავე დროს ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ვალდებულებების გამკაცრება უნდა მოხდეს. ამიტომ ვამბობ, რომ ამ ეტაპზე განკერძოებაა პრიორიტეტული. წარმოიდგინეთ თქვენ, რომ თუ გადასახადები შეგიმცირეს, შემოსავალიც დაგაკელი და ვალდებულებები ვერ დაფარე, ეს უკვე პრობლემაა, ხოლო თუ პირიქით გააკეთებ, რომ ჯერ ვალდებულებები მოიშორო და შემდეგ შესაბამისად შეგიმცირო საგადასახადო ტვირთი, უფრო გონივრული იქნება. რა თქმა უნდა, ორივეს ერთდროულად გაკეთებაც შეიძლება, მაგრამ ამისთვის რადიკალური მიდგომა იქნება საჭირო. ეს მოხდება მაშინ, თუ თამამ გადაწყვეტილებას მიიღებენ. ჯერჯერობით ამის პოტენციალს ვერ ვხედავ.

– ხელისუფლებაში თუ ხედავთ იმის რესურსს, რომ დღევანდელ გამოწვევებთან გამკლავება შეუძლიათ?

– უბრალოდ გაუმართლებლად მიმაჩნია ეს, რადგან არ ვფიქრობ, რომ ამ საკადრო რესურსს რაიმე სიკეთის მოტანა შეუძლია. მათი რესურსი მაშინ ამოიწურა, როდესაც 20 ივნისს ხალხი დაარბიეს. იმიტომ, რომ ასეთ ხალხთან არავინ არ ითანამშრომლებს. ეგ იყო მთავარი შეცდომა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამოწურეს თავისი რესურსი.

– ამ ვითარებაში, როდესაც ასეთი კრიზისია, ხომ არ უნდა ჩართოს ექსპერტები და თუნდაც ოპოზიციის წარმომადგენლები, რომ ერთობლივად დაისახოს გეგმა კრიზისიდან გამოსასვლელად?

– იგივე პასუხს გავიმეორებ, რომ ცხადად გამოჩნდა, ამ ძალასთან თანამშრომლობა არავის არ უნდა. ჩართავ თუ არა, მაგაში არაა საქმე. არ უნდათ მაგათთან თანამშრომლობა.

– ანუ, ერთადერთი შანსი ხელისუფლების შეცვლაა?

– მე ვფიქრობ, რომ არის ორი გზა. ან „ქართულმა ოცნებამ“ პოლიტიკურ ასპარეზს უნდა ჩამოაშოროს რამდენიმე კადრი, რათა ხელ-ფეხი გაეხსნას. ესენი, როგორც მინიმუმ, არიან გახარია და წულუკიანი.

– ეკონომიკის მინისტრი?

– ეკონომიკის მინისტრი არაფერს არ წარმოადგენს. უბრალოდ, სხვები რომ შეიცვლებიან, მიყვება ისიც. 5-6 ადამიანია, ვინც ქმნის სახეს, რომელიც არის ქვეყნის განვითარების ყველანაირად შემაფერხებელი.

მეორე ვარიანტს რაც შეეხება, არის ის, რომ მათ ამ სიტუაციაში გამოიჩინონ გონივრული კომპრომისი, ამ ვითარებაში, როდესაც არჩევნები ფაქტობრივად ჩაიშალა, ოპოზიციურ ჯგუფებს შესთავაზონ რეალური თანამდებობები. კოალიციაზე წავიდნენ იმ გაგებით, რომ საზოგადოებაში მოხდეს კონსენსუსი, რომელიც შემდეგ არჩევნებსაც დანიშნავს, შეცვლის იმას, რაც შესაცვლელია და ამ ქვეყანაში მცხოვრებ ადამიანებს არსებობის ნორმალურ შესაძლებლობას მისცემს. ეს მეორე ვარიანტიც შესაძლებელია.

– თანამდებობებში გულისხმობთ იმას, რომ ხელისუფლებამ მინისტრთა კაბინეტში ოპოზიციაც შეიყვანოს?

– რასაკვირველია. მათ ეს იმისთვის სჭირდებათ, რომ ქვეყანაში დაბრუნდეს თანამშრომლობის გზა, რაც პოზიტივის დადგომას შეუწყობს ხელს. ამიტომ, გონივრული იქნებოდა, რომ მათ ეს გაეკეთებინათ, მაგრამ არ ვიცი რამდენად ეტყობათ. ჩემი აზრით, არ ეტყობათ, რომ ამის გამკეთებლები არიან.

– სასწორის პინაზე ერთ მხარეს ჯანდაცვა დევს, მეორე მხარეს ეკონომიკა.

– არა ბატონო, ასე არ არის. საიდან მოიტანეთ ეს?! ეკონომიკიდან ჯანდაცვის გამოყოფა დიდი შეცდომაა. ეს ჩვენ თავზე მოგვახვიეს. მე არა, მაგრამ, როგორც ჩანს, თქვენ – კი. საიდან უნდა მოიტანო ან ნემსის ფული, ან ექიმის ფული?! როდესაც ეკონომიკა დახურეს, ფაქტობრივად, ჯანდაცვაც დაასამარეს. ამ ორი სფეროს ერთმანეთთან დაპირისპირება, ჩემი აზრით, სწორი არ არის.

– ანუ, იმის კითხვა მინდოდა, რომ დღეს, როცა ისევ გააქტიურდა საუბარი „ლოქდაუნზე“, გადაიტანს ქვეყანა მორიგ ჯერზე „ლოქდაუნს“?

– ქვეყანა გადაიტანს, მაგრამ იქნება მათხოვარი. თორემ გადატანით გადაიტანს, როგორ არ გადაიტანს.

კახა კალაძე: „მინდა მჯეროდეს ოპოზიციის გონივრულობის“

– მინდა მჯეროდეს ოპოზიციის გონივრულობის და კიდევ ერთხელ იმედს გამოვთქვამ, რომ ისინი მიიღებენ სწორ გადაწყვეტილებას ისევ და ისევ ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე.

ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ ევროპარლამენტარების მიერ საქართველოში გამართულ არჩევნების მეორე ტურთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადების შეფასებისას აღნიშნა.

როგორც კალაძემ განაცხადა, მმართველ გუნდს მოუწევს იმ ხარვეზების გამოსწორება, რომლებზეც მითითებებია გაცემული.

– ძალიან მნიშვნელოვანია ის განცხადებები, რომელთაც ჩვენ ვისმენთ და ასევე მნიშვნელოვანია ის შეფასებები, რომლებიც გაკეთდა არჩევნებთან დაკავშირებით. ეუთო/ოდირის განცხადებები მოვისმინეთ, რომ

არჩევნები ჩატარდა დემოკრატიულ და კონკურენტულ გარემოში, სადაც დაცული იყო ადამიანების ფუნდამენტური უფლებები. შესაბამისად, ის ხარვეზები, რომლებზეც მითითებები არის, მომავალში მოგვიწევს გამოსწორება, რომ არ განმეორდეს.

მინდა მჯეროდეს ოპოზიციის გონივრულობის და კიდევ ერთხელ იმედს გამოვთქვამ, რომ ისინი მიიღებენ სწორ გადაწყვეტილებას ისევ და ისევ ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე. თორემ მარტო ჩვენ რომ მოგვიწიოს პარლამენტში დარჩენა, ამაშიც ვერ ვხედავ პრობლემას. თუმცა, იმედი მაქვს, ისინი გადაწყვეტილებას მიიღებენ და პარლამენტში შევძლებთ ერთობლივად მუშაობას იმ მნიშვნელოვან რეფორმებსა და განსახორციელებელ პროექტებზე, რომლებიც სჭირდება ჩვენს ქვეყანას, – განაცხადა კალაძემ.

ცნობისთვის, ევროპარლამენტარები მოუწოდებენ ყველა პოლიტიკურ მოთამაშეს, გამოიჩინონ პასუხისმგებლობა, თავშეკავება და მოწიფულობა, პატივი სცენ ამომრჩევლის დემოკრატიულ არჩევანს, რათა უზრუნველყოფილი იყოს პარლამენტის შეუფერხებელი ფუნქციონირება, რადგან ის არის დემოკრატიისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინსტიტუტი.

როგორც ევროპარლამენტარები საქართველოში 21 ნოემბერს ჩატარებულ პარლამენტს არჩევნების მეორე ტურთან დაკავშირებით გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნავენ, პარლამენტის შეუფერხებლად მუშაობისთვის ორივე მხრიდან კომპრომისებია საჭირო.

განცხადებაზე ხელმომწერი ევროპარლამენტარები ასევე აღნიშნავენ, რომ დარჩენილი ხარვეზები უნდა იყოს აღმოფხვრილი ახალი საარჩევნო რეფორმის გზით.

ევროპარლამენტარები ამავე განცხადებაში წერენ, რომ არჩევნები გაუმჯობესებული საარჩევნო სისტემით ჩატარდა, რაც პლურალისტურ პარლამენტს უწყობს ხელს.

ისინი მწუხარებას გამოთქვამენ იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ოპოზიციის კანდიდატები მეორე ტურში მონაწილეობას არ იღებდნენ.

ამერიკული სამხედრო ხომალდი „დონალდ კუკი“ შავ ზღვაში შემოვიდა

ამერიკული სამხედრო ხომალდი „დონალდ კუკი“ შავ ზღვაში შემოვიდა.

ამის შესახებ საქართველოში აშშ-ის საელჩოს განცხადებაშია ნათქვამი:

„აშშ-ის სამხედრო ხომალდი „დონალდ კუკი“ შავ ზღვაში რეგიონული სტაბილურობის მხარდამჭერი რუტინული საზღვაო უსაფრთხოების ოპერაციების ჩასატარებლად შემოვიდა.

„შავ ზღვაში ოპერირება რეგიონში ჩვენი პარტნიორებისა და მოკავშირეებისადმი ერთგულების მანიშნებელია. ეს მნიშვნელოვანი დიპლომატიური მისიაა და „დონალდ კუკს“ მრავალჯერ გამოუცდია შავი ზღვის ქვეყნების სტუმართმოყვარეობა“ – განაცხადა ხომალდის მეთაურმა, კელი ჯოუნსმა.

აშშ-ის საზღვაო ძალები შავ ზღვაში რუტინულ ოპერაციებს ნატოს მოკავშირე და პარტნიორ ქვეყნებთან ერთად ატარებს. მათ შორისაა: ბულგარეთი, საქართველო, რუმინეთი, თურქეთი და უკრაინა.

მსოფლიოს ინტერესებშია, რომ შეინარჩუნოს სტაბილური, წარმატებული შავი ზღვის რეგიონი და შეაკავოს აგრესიული აქტორები, რომლებიც საკუთარი მიზნებისთვის დესტაბილიზაციას ცდილობენ.“

დღეიდან თბილისში ყველა შადრევანი გაითიშება

ტემპერატურის ცვლილების გამო, 25 ნოემბრიდან დედაქალაქში მოქმედი ყველა შადრევანი გაითიშება. ამის შესახებ ინფორმაციას დედაქალაქის მერია ავრცელებს.

მისივე ცნობით, ზამთრის დადგომისას, შადრევნების გამორთვა და მომავალი წლისთვის მომზადება ყოველწლიურად ხორციელდება.

„დედაქალაქში არსებული 50-მდე შადრევნის მოვლა-პატრონობას შპს „ეკოსერვის ჯგუფი“ უზრუნველყოფს. შადრევნების ნაწილი კი რაიონული გამგეობების დაქვემდებარებაშია.

ყველა მათგანი გაზაფხულზე, ტემპერატურის მატების შემდეგ ჩაირთვება“ – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ახალი ამბები
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი

ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ირაკლი ღარიბაშვილი ისევ პრემიერი გახდება“

ლადო სადღობელაშვილი: „თეა წულუკიანი პარლამენტის სპიკერი იქნება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ ლადო სადღობელაშვილი პასუხობს.

– ლადო, აქტიურად გამოდის ხმები იმის შესახებ, რომ „ქართული ოცნების“ შიგნით სერიოზული წმენდა იწყება. ნათია მეზვრიშვილმა დატოვა თანამდებობა. ითქვა ისიც, რომ გახარიამ მეზვრიშვილის კანდიდატურა იუსტიციის მინისტრის პოსტზე შესთავაზა ივანიშვილს, მაგრამ უარი მიიღო. დაიწყო გახარიას და მისი გუნდის გაშვება?

– რაც შეეხება გახარიას და მისი გუნდის გაშვებას, ეს რთულად პროგნოზირებადი ნამდვილად არ ყოფილა. მათ, რომ იტყვიან, თავისი დრო მოჭამეს. ვადა გაუვიდათ. მე „ოცნების“ პრემიერებს და მინისტრებს ფორთოხლებს ვუწოდებ, რომლებსაც მაქსიმალურად წურავს ბიძინა ივანიშვილი და ტოვებს ყველანაირი შესაძლებლობის და განვითარების გარეშე. გახარია ვეღარ სთავაზობს სიახლეს, მორჩა, ამოიწურა მისი რესურსები.

გახარია 2019 წლის 20 ივნისის მოვლენების შემდეგ დაინიშნა პრემიერ-მინისტრად. მან ოფიციალურად წელიწადნახევარი იპრემიერა, მანამდე წელიწადნახევარი, გახარია იყო მძიმე ხელი მთავრობაში და ძალოვან უწყებებს და ფინანსურ მხარეს მთლიანად გახარია აკონტროლებდა. ასე ვთქვათ, მან 3 წელიწადი გასტანა. ეს ივანიშვილის პირობებში დიდი დროა.

– გახარია სიის პირველი ნომერია და ითქვა, რომ ისევ ის იქნებოდა პრემიერ-მინისტრი.

– მე ადრე ვთქვი თქვენთან ინტერვიუში, რომ ის იქნებოდა გარდამავალი პრემიერ-მინისტრი და მას არჩევნების შემდეგ მალევე გაუშვებდნენ. ამაში ვერაფერს განსაკუთრებულს და ახალს ვერ ვხედავ. ასეც უნდა ყოფილიყო.

– აქვს „ოცნებას“ ახალი კადრების რესურსი? როდესაც საუბარია, რომ მდინარაძე დაინიშნება იუსტიციის მინისტრად, ეს რამდენად სერიოზულია?

– აი, მსგავს ინფორმაციებზე მე ვერანაირი კომენტარს ვერ გავაკეთებ. ეს წმინდა სისხლის ჭორაობაა და მეტი არაფერი. ეს არასერიოზულია. ეს ადამიანები სიის წამყვან ნომრებად იყვნენ დასახელებული: თალაკვაძე, თეა წულუკიანი, თავად გახარია, ასევე ირაკლი კობახიძე. ამ ადამიანებიდან კობახიძემ თავი შეირცხვინა და გადადგა.

– სად წავა გახარია?

– ახლა მიდის მთავრობის გადახალისება. გახარიას მისცეს ოთხწლიანი ვადა, შესაძლებლობა ხელშეუხებლობის. ეს 4 წელი არის მისთვის იმის გარანტია, რომ ამ დროის განმავლობაში მასზე საქმე არ აღიძვრება. სულაც არაა გამორიცხული, რომ მას საპარლამენტო უმრავლესობა ჩააბარონ. გახარია ბოკერიას ყოველთვის კარგ ოპონირებას უწევდა დებატებში.

– ბოკერია რომ არ შედის პარლამენტში?

– ეს კიდევ ცალკე თემაა. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ შევლენ პარლამენტში. ხოლო თუ არ შევლენ, ეს იმას ნიშნავს, რომ რიგგარეშე, ან განმეორებითი არჩევნები დაინიშნება. რიგგარეშე და ხელახალი სრულიად სხვადასხვა რამაა, ამას თავის ვადები სჭირდება და ახლა ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს. ჩემი კულუარული ინფორმაციით, რომელიც ჟონავს როგორც სახელისუფლო, ისე ოპოზიციური გუნდიდან, შემიძლია გითხრათ, რომ გიორგი ვაშაძე, გირჩი, ალეკო ელისაშვილი, პატრიოტები და ბოკერიაც სიამოვნებით შევლენ პარლამენტში.

– ლელო?

– ლელო მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდება პარლამენტში შესვლას, თუ გახარია წავა. მე ეს ადრეც ვთქვი და, როგორც ჩანს, პროცესებიც აქეთ ვითარდება. გახარია წავა და ხაზარაძე შევა პარლამენტში.

– გამოდის, რომ ვანო ჩხარტიშვილის პოზიციები სუსტდება?

– ასეა. ვანო ჩხარტიშვილმა შესაძლოა გარანტიები მიიღოს იმის საპირწონედ, რომ მან თავისი სიძე, გიორგი ვაშაძე შეიყვანოს პარლამენტში. ლელო მხოლოდ იმ შემთხვევაში შევა პარლამენტში, თუ გახარია წავა. ჩხარტიშვილი კი მისი ბიზნესის გარანტორად პარლამენტში შეიყვანს გიორგი ვაშაძეს. ვაშაძის პარტია სწორედ მისი შექმნილია, ფულს ის აძლევდა. ვაშაძეს არც ბიზნესი აქვს და არც ფული, არჩევნებს კი დიდი ფული უნდა. ვაშაძემ საკმაოდ სერიოზული კამპანია აწარმოა და საკმაოდ სერიოზული თანხები დახარჯა. ჩხარტიშვილი ტყუილად არ დააფინანსებდა. მას ვაშაძე სჭირდება პარლამენტში.

– როდესაც გახარიას წასვლაზეა საუბარი. ვინ შეიძლება იყოს შემდეგი პრემიერი? თქვენ ვის მოიაზრებთ? თეა წულუკიანზეც იყო საუბარი...

„მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ განახლებულ მინისტრთა კაბინეტში ვერ ვიხილავთ ქალბატონ ტიკარაძეს“

– მე არ ვფიქრობ, რომ წულუკიანი იქნება შემდეგი პრემიერი. თეა წულუკიანი იყო გახარიას გუნდის წევრი.

– წულუკიანი 2012 წლიდან შეუცვლელი მინისტრი იყო.

– კი, შეუცვლელი მინისტრი იყო, მაგრამ ამდენი პრემიერ-მინისტრის პირობებში, არც ერთის დროს არ ყოფილა ვიცე-პრემიერი. ის სწორედ გახარიამ დანიშნა ვიცე-პრემიერად. ის გახარიას გუნდის წევრია, ამიტომ თუ მიდის გახარია, მიდის თეა წულუკიანიც!

თეა წულუკიანს ვიხილავთ პარლამენტში და ის შესანიშნავი სპიკერი იქნება პარლამენტისთვის. მე ასევე მაქვს ინფორმაცია, რომ კობახიძე აპირებს სასამართლოს კუთხით გააგრძელოს თავისი კარიერული საქმიანობა. მდინარაძეს პარლამენტში დატოვებენ, ხოლო იუსტიციის მინისტრად თალაკვაძეს გაუშვებენ. ერთგვარი კარუსელი დატრიალდება.

– ჯანდაცვის მინისტრი აცხადებს, არსად არ მივდივარო. მას არ გაუშვებს ივანიშვილი?

– გაუშვებენ. დღეს ქვეყანა არის იმ ეტაპზე, როდესაც ახალი მთავრობა უნდა მივიღოთ. ახალი პარლამენტი გვყავს და ველოდებით განახლებულ მინისტრთა კაბინეტს. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ განახლებულ მინისტრთა კაბინეტში ვერ ვიხილავთ ქალბატონ ტიკარაძეს. იმიტომ, რომ ქალბატონი ტიკარაძე აღმოჩნდა დიდი კრახი. ამაზე მთელი ქვეყანა თანხმდება. ასეთი გარღვევა ბიძინა ივანიშვილს ჯერ თავის საჭადრაკო დაფაზე არ ჰქონია, რაც ტიკარაძის შემთხვევაში მოუვიდა.

ტიკარაძის გარდა, ეკონომიკური გუნდის მინისტრებიც წავლენ. წავა თურნავა, ასევე მაჭავარიანი.

– ძალოვანი მინისტრები?

– ძალოვნები დიდი ალბათობით არ შეიცვლებიან, პირიქით, დაწინაურდებიან. ეს ცალკე ფრთაა, ეს გახარიას დაქვემდებარებაში არ ყოფილა. არ ემორჩილებოდნენ გიორგი გახარიას. მათ პირდაპირ ბიძინა ივანიშვილთან აქვთ კომუნიკაცია.

– მეორედ მოსვლები სჩვევია ივანიშვილს და ღარიბაშვილს ხომ არ დააბრუნებს პრემიერ-მინისტრად? ამაზეც დადის ჭორები.

– ზემოთ როდესაც მკითხეთ, ვინ შეცვლის გახარიასო, სწორედ მაშინ ვაპირებდი ამაზე საუბარს, თუმცა წულუკიანით შემოვიფარგლეთ. ნამდვილად არ არის გამორიცხული, რომ ირაკლი ღარიბაშვილი ვიხილოთ კვლავ პრემიერად. ღარიბაშვილი არის მინისტრი, რომელიც მუშაობს მხოლოდ პოზიტივზე. თავდაცვის მინისტრობის პერიოდში მას სკანდალები და რაიმე გარღვევები არ ჰქონია, ამიტომ, ვფიქრობ, რომ მას პრემიერ-მინისტრად ვიხილავთ.

– „ოცნებას“ სერიოზული კრიზისი უდგას პოლიტიკური თუ ეკონომიკური. ასევე, მარცხი არჩევნებში და ოპოზიციის ბოიკოტი. გამოვა ამ ჩიხიდან?

– მე არ ვიტყოდი იმას, რომ ეს მარცხი იყო. მე ვიტყოდი, რომ ეს იყო კარგად დაგეგმილი და შემდეგ გათამაშებული ვითარება. ეს სცენარი წინასწარ დაიწერა. ასე უნდა ყოფილიყო.

– რას გულისხმობთ წინასწარ დადგმულსა და დაწერილში?

– როდესაც მმართველი ძალა ხარ, მარტო იმას კი არ ფიქრობ, შენ როგორ მოიქცევი, შენ ყოველთვის თვლი, თუ რას იზამს შენი ოპონენტი. ყოველთვის არსებობს გეგმა ა და გეგმა ბე. მათ ძალიან კარგად იცოდნენ, რას აპირებდა ოპოზიცია, აქ ყველანაირი გეგმა შემუშავებული იქნებოდა. რადგან „ოცნება“ მიდის იმ გეგმით, რომ არ წავიდნენ დათმობებზე, ეს მარწმუნებს იმაში, რომ მათ ნაყიდი ჰყავთ ოპოზიცია.

– მაშინ რას ნიშნავს ოპოზიციის პროტესტი და ეს დამოკიდებულება?

– ახლა ჩვენ რა პროცესსაც ვადევნებთ თვალს, ეს არის წმინდა წყლის ვაჭრობა და მეტი არაფერი! არ მინდა სახელები და გვარები დავასახელო, მაგრამ დღეს ოპოზიციაში არსებობენ პარტიები, რომლებიც ამ ხელისუფლებამ შექმნა, მოაძლიერა, ტელევიზია გაუკეთა. აი, ასეთს მინიმუმ ორს გეტყოდით დაუფიქრებლად, უამრავი არგუმენტით. აი, ამხელაზე აქვს „ოცნებას“ გაშლილი ხელი, რომ იტყვიან, ყურებით ჰყავს დაჭერილი და როგორ გგონიათ, ასეთი პარტია პარლამენტში არ შევა?!

პირდაპირ გეტყვით, რომ მინიმუმ 4 პარტია ოპოზიციიდან პარლამენტში შედის. ოპოზიციის ბოლო იქნება ის, რომ, მაპატიეთ, მაგრამ ჩასვრილი ბავშვებივით შელაგდებიან პარლამენტში.

„ოპოზიცია ქუჩაში თუ დარჩება, ამომრჩეველს დაკარგავს“

რამაზ საყვარელიძე: „ოპოზიციის მოთხოვნა უფრო ადეკვატური უნდა გახდეს. როგორ უნდა დაინიშნოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები? მას ხომ სჭირდება კანონიერი საფუძვლები?!“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო რამაზ, საუბარია, რომ „ევროპული საქართველო“, „გირჩი“ „სტრატეგია აღმაშენებელი“ და „ლელო“ საარჩევნო ბლოკს ქმნიან. თქვენ რას უკავშირებთ ამ გადაწყვეტილებას?

– საარჩევნო ბლოკი არჩევნებს გულისხმობს. არჩევნები დანიშნული არ არის. შესაბამისად, რა ბლოკზეა საუბარი, გაუგებარია. თუკი ისინი პარლამენტში აპირებენ შესვლას და იქ ბლოკის ჩამოყალიბებას, ეს სხვა საკითხია. ეს პოლიტიკურად სწორი ნაბიჯი იქნებოდა. ეს პარტიები ახალია, ახალი ხედვებითა და ახლი სისხლით, მაგრამ თუ არ აპირებენ პარლამენტში შესვლას, მაშინ დღეს ასეთი ინიციატივით გამოსვლა უადგილო და ცოტა გაუგებარია.

– მესამე ძალის ფორმირების, მესამე ალტერნატივის მცდელობას ხედავთ?

– დიახ, რა თქმა უნდა. მე მეჩვენება, რომ სწორედ ეს არის მიზანი. თუმცა, როდის კეთდება ეს ყველაფერი, ამას აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა. საკამათოა ეს აჩქარება. ახლა დასრულდა არჩევნები. ძალიან ბევრი ემოცია გააჩინა ამ არჩევნებმა. უცებ, ამ ქარიშხლის ფონზე, დოღის გამოცხადება, ცოტა არასერიოზული მგონია. დღეს აქტუალური სხვა რამეა. მთავარი კითხვა ასე ისმის: შევა თუ არა ოპოზიცია პარლამენტში?

– რა მოლოდინი გაქვთ მესამე რაუნდისგან?

– ოპოზიციის მოთხოვნა უფრო ადეკვატური უნდა გახდეს. როგორ უნდა დაინიშნოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები? მას ხომ სჭირდება კანონიერი საფუძვლები?! კონსტიტუცია პოლიტიკურ კრიზისს ან ვადამდელი არჩევნების დანიშვნას ასე აყალიბებს: პარლამენტი ვერ ამტკიცებს მთავრობას ანუ ნდობას ვერ უცხადებს, ან ბიუჯეტს ვერ ამტკიცებს. რამდენად მოსალოდნელია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ან მინისტრთა კაბინეტი ჩააგდოს, ან ბიუჯეტი ვერ დაამტკიცოს?! ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამაზე წავიდეს. თუ წავა, მაშინ ეს იქნება აღქმული, რომ „ოცნება“ ანგარიშს უწევს „ნაციონალურ მოძრაობასა“ და დანარჩენ ოპოზიციას.

– და არა შექმნილ რეალობას?

– და რა რეალობაა ასეთი?! ეს იქნება პირდაპირ ანგარიშგაწევა ოპოზიციისთვისა და არა საკუთარი ამომრჩევლისთვის. ამ შემთხვევაში ის დადგება ძალიან მძიმე რისკის წინაშე, რომ ამომრჩეველი დაკარგოს.

მით უფრო, როდესაც ოპოზიციის ზეწოლას ძალა არ აქვს. არ არის შიდა, ხალხის დიდი მხარდაჭერა და მოთხოვნა. საერთაშორისო საზოგადოებაც კი პარლამენტში შესვლისკენ და მუშაობის დაწყებისკენ მოუწოდებს. გაუგებარია, რითი ახდენენ ზეწოლას. მხოლოდ იმით, რომ საბჭოთა დონის ერთპარტიული პარლამენტი იქნება, რომელსაც თავად ქმნიან. ამიტომ, თუ „ოცნება“ წამოეგება ამ მოთხოვნებს, ეს იქნება აღქმული საკუთარი ამომრჩევლისთვის ზურგის შექცევად.

– თუ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე მიღებული გადაწყვეტილება?

– ასე არ იქნება მისი ამომრჩევლისგან აღქმული. ეს იქნება კაპიტულაციად, დათმობად აღქმული. რომ „ოცნებას“ არ შესწევს ბრძოლის უნარი, რაც მაინცდამაინც კარგად არ წარმოაჩენს თავად ხელისუფლებას. მერე უკვე ოპოზიცია მუდმივად დააყენებს ულტიმატუმებს და მის შესრულებას მოსთხოვს „ოცნებას“.

რა დათმობაზე წავიდა თავად ოპოზიცია?! ჩვენ ვხედავთ, რომ ისინი არაფერს არ თმობენ, მაგრამ დათმობას ითხოვენ ხელისუფლებისგან. ასე არ ხდება მოლაპარაკებების დროს, რაც მშვენივრად იციან შუამავლმა ელჩებმა. ისინი დიპლომატები არიან და მათ მოლაპარაკებების ენა ყველაზე უკეთესად ესმით.

– თუ შეთანხმება არ მოხდება, ფინალი რა იქნება?

– არაფერი. ფინალი იქნება ოპოზიციის მარგინალიზაცია. თუ 2007-2009 წლების მოვლენებთან გავავლებთ პარალელებს, ვნახავთ, რომ ოპოზიცია იმავე გზით მიდის, თუ არ ჩავთვლით ერთ გამონაკლისს, მაშინ ვიღაცები შევიდნენ პარლამენტში.

– თქვენ რა პარალელს ხედავთ?

– მაშინ ოპოზიციამ ვერანაირი პოლიტიკური შედეგი ვერ დადო. პარლამენტში არ შევიდა, მაგრამ ვიღაცები შევიდნენ და ამით თვითონ ვერაფერი შედეგი ვერ მიიღო. სახელმწიფომ ცხოვრება გააგრძელა. მეტიც, მაშინ ოპოზიციამ ქუჩაში დარჩენით ამომრჩეველი დაკარგა. ერთი წლის თავზე ადგილობრივ არჩევნებზე ხმების ნახევარიც კი ვერ მიიღო ანუ ამომრჩეველი დაკარგა. ახლაც იგივე მოხდება, რაც სულაც არ არის კარგი ქვეყნის მომავლისთვის, მისი განვითარებისთვის. ქვეყანაში ყველას თავისი როლი და ფუნქცია აქვს. ცხადია, მათ შორის ძლიერ ოპოზიციას და არა ქუჩაში დარჩენილ, მარგინალიზებულ ოპოზიციას. ამიტომ, თუ ქუჩაში დარჩება ოპოზიცია, ნებისმიერ მომდევნო არჩევნებზე მას ამომრჩეველი სულ უფრო მოაკლდება.

გიგლა ბარამიძე: „ივანიშვილს წასვლა აქვს გადაწყვეტილი და პარტიის კალაძისთვის ჩაბარება“

„უცხოელ მეგობრებს დიდი მადლობა ყველაფრისთვის, მაგრამ ჩვენთვის ამოსავალი ჩვენი ხალხია“

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოში პოსტსაარჩევნო ციებ-ცხელება გრძელდება. 31 ოქტომბრის არჩევნების შედეგს გაყალბებულად მიიჩნევენ და გამოცხადებულ ოფიციალურ მონაცემებს არ აღიარებენ არც ის პარტიები, რომლებმაც, ცესკოს მონაცემებით, საარჩევნო ბარიერი გადალახეს და არც ისინი, რომლებიც, ამავე მონაცემებით, ზღურბლს მიღმა დარჩნენ. შექმნილ მდგომარეობაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა „ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობის“ გენერალურ მდივანს, გიგლა ბარამიძეს.

– თქვენი თანამებრძოლები და თანამოაზრეები ამ საკითხში აცხადებენ, რომ პატივს სცემენ საერთაშორისო ორგანიზაციებს, მაგრამ მათთვის პრიორიტეტული ხალხი და ამომრჩევლის წინაშე ანგარიშვალდებულებაა. თქვენც ამ აზრზე ხართ?

– ამას სულ ვაცხადებდი. უცხოელ მეგობრებს, მოკავშირეებს, ფასილიტატორებს დიდი მადლობა ყველაფრისათვის, მაგრამ ჩვენთვის ქვაკუთხედი და ამოსავალი ხალხია. ჩვენი პარტნიორები გვერდით გვედგნენ მაშინ, როცა ვიხილავდით საკონსტიტუციო ცვლილებებს. მათი დახმარებით მივაღწიეთ იმას, რომ ბოლო საპარლამენტო არჩევნები გაიმართა პროპორციულთან მიახლოებული მოდელით. ისინი ახლაც აქტიურობენ და დემოკრატიისკენ მოგვიწოდებენ. ჩვენი პასუხი ასეთია – უნდა შეიცვალოს გამყალბებელი, კორუმპირებული ცესკო თამარ ჟვანიას თავმჯდომარეობით, დაიხვეწოს მისი დაკომპლექტების წესი და უახლოეს თვეებში გაიმართოს ახალი არჩევნები. ჩვენთვის ესაა დემოკრატია და ამომრჩევლის ნების შესრულება. ამ საკითში არ წავალთ კომპრომისზე. დანარჩენ დათმობებზე საუბარი ამის მიღწევის შემდეგ შეგვეძლება. ამომრჩეველი ჩვენგან მოითხოვს საკუთარი ხმების დაცვას. ამიტომ ვიბრძვით. თორემ, ქუჩაში, სიცივეში დგომა არავის სიამოვნებს. ჩვენ ვაცხადებთ, რომ 2020 წლის 31 ოქტომბერს „ქართულმა ოცნებამ“ გააყალბა არჩევნები და მოიპარა სხვების ხმები. ეს გააკეთა უსუსურმა, უმაქნისმა ხელისუფლებამ, რომელიც ვერც კორონაპანდემიას უმკლავდება და ვერც სხვა პრობლემებს. ეს ხელისუფლება მიწების დამბრუნებელია?!

– თქვენი პარტია „ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობა“ გაყალბებაზე 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების დროსაც საუბრობდა და ამას ასაჩივრებდა, მაგრამ უშედეგოდ. ახლანდელი გაყალბება უფრო მასშტაბურია?

– ჩვენ მიმართ იგივე მასშტაბი და მეთოდებია. 2016 წელს ჩვენი პარტიის მიმართ რაც ჩაიდინეს, ახლა სხვებზეც გაავრცელეს.

– 2016 წელს სხვებზე მეტად თქვენი პარტია დაზარალდა?

– დიახ. რაც მაშინ ჩვენ დაგვმართეს, ახლა ყველას გაუკეთეს. მაშინ რომ სხვებსაც ამოეღოთ ხმა და გვერდით დაგვდგომოდნენ, ასეთი სიტუაცია არ გვექნებოდა. დღეს ერთი და იგივე მოთხოვნა გვაქვს იმ პარტიასაც, რომელმაც 36 მანდატი მოიპოვა და იმათაც, ვისაც ბარიერი არ გადაალახინეს.

– გაყალბება რომ არა, ბარიერი გადალახული გექნებოდათ?

– ცხადია. „ოცნებამ“ ნამდვილი ფაბრიკა-ქარხნები და სამუშაო ადგილები ვერ შექმნა, სამაგიეროდ, აამოქმედა ტროლებისა და ბოტების ფაბრიკები. ეს ტროლები და ბოტები ხშირად გვესხმიან თავს. ისინი ლიკლიკებენ, თითქოს „ერთიან საქართველოს“ ბარიერი არ გადაულახავს. ეს სიყალბეა. ჩვენ მივიღეთ იმაზე სამჯერ მეტი ხმა, ვიდრე დაგვიწერეს და ბარიერიც გადალახული გვაქვს. წინასაარჩევნო კამპანიაც წარმატებული გვქონდა და ხალხის მხარდაჭერა დავინახეთ. ჩვენთვის მანდატები მთავარი არ არის. ხმების დასაბრუნებლად და სამართლიანი არჩევნებისთვის კი ისევ ვიბრძოლებთ.

– ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, სალომე სამადაშვილის განცხადებამ იმის თაობაზე, რომ იგი პარლამენტში შესვლას უჭერს მხარს, საზოგადოებაში გააჩინა განხეთქილების განცდა.

– ამას განმარტებაც მოჰყვა. ყველა, ვინც არ აღიარებს ამ არჩევნების შედეგს, ამბობს, რომ ვერ შევა გაყალბებულ პარლამენტში. ინტერვიუს ჩაწერის მომენტში ამ საკითხში ერთიანობაა. ამაში თანხმობა გვაქვს სხვადასხვა, ერთმანეთისაგან განსხვავებულ პარტიებს. მომავალში რა იქნება, ვერ გეტყვით. ოჯახშიც შეიძლება იყოს უთანხმოება. 12 მოციქულიდან ერთი კი სატანას მიეყიდა.

– ამ კრიზისულ სიტუაციაში ხელისუფლების ოპონენტებმა რამდენჯერმე იხმარეს სიტყვა „დიქტატურა“. შესაძლებელია, რომ არჩევნების გაყალბების შემდეგ ბიძინა ივანიშვილი დიქტატორი გახდეს?

– ამ ხელისუფლებას დიქტატურის დამყარების თავიც არა აქვს. საქართველოში არც დემოკრატიაა და არც დიქტატურა. იცით როგორი მმართველობაა? მელიტოციდური. ეს არის მმართველობის სახეობა, როცა ხელისუფლება უხმაუროდ, გეგმაზომიერად და მიზანმიმართულად ანგრევს ყოველივე კარგს ქვეყანაში. ამ დროს ხელისუფლება ინდივიდუალურ და კოლექტიურ დონეზე ქვემოდან ხრავს ქვეყანას.

– ამგვარი მმართველობა გაგრძელდება თუ არაფერი შეიცვალა?

– რასაკვირველია. კობახიძე-ოხანაშვილი-მათიკაშვილის პარლამენტი და შემდგომი მმართველობაც ასეთი იქნება.

– შექმნილი კრიზისი მმართველ პარტიას უფრო შეაკავშირებდა? არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე ჩვენთვის მოცემულ ინტერვიუში თქვით, რომ „ქართულ ოცნებაში“ არსებობს განხეთქილება და კონკურენცია კალაძისა და გახარიას გუნდებს შორის.

– დიახ. ასეთი რამ ვთქვი და ეს ასეც იყო. დღეს ისეთი არეულობაა, მმართველ პარტიაში განხეთქილებისთვის ვის სცალია! თუმცა, მიმდინარეობს მომზადება პოსტბიძინისტური მმართველობისათვის. შექმნილმა ალიაქოთმა პროცესები გადაავადა. ისე, ექსკლუზიურად გეტყვით: როცა სიტუაციას დაალაგებს, ივანიშვილს გადაწყვეტილი აქვს პარტიიდან (ალბათ, პოლიტიკიდანაც) წასვლა და პარტიის კალაძისთვის ჩაბარება. ივანიშვილს კალაძეზე მზე და მთვარე არ ამოსდის, მაგრამ თვლის, რომ ასეა საჭირო.

გიგა ბოკერია: „რა შუაშია აქციები მეორე ტალღისთვის მომზადებასთან?“

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერის, გიგა ბოკერიას განცხადებით, დღევანდელი მძიმე ეპიდემიოლოგიური ვითარება დაკავშირებულია მთავრობის არასწორ და მავნებლურ მართვასთან, როდესაც ხელისუფლებამ უაზროდ ჩაკეტა ქვეყანა და არ მოემზადა მეორე ტალღისთვის.

ამის შესახებ მან ვიცე-პრემიერ მაია ცქიტიშვილის განცხადებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომლის მიხედვითაც, კორონავირუსის გავრცელების ის დინამიკა, რაც დღეს ქვეყანაშია, საპროტესტო აქციებს უკავშირდება.

ბოკერიას თქმით, რეალური გეგმის ნაცვლად, ხელისუფლება ყველაფერს ოპონენტებს აბრალებს და საკუთარ თავზე ნულოვან პასუხისმგებლობას იღებს, ხოლო ასეთი უტიფარი საქციელის ფასს მთელი ქვეყანა იხდის.

– ყველა კრიტიკულ ვითარებაში, რაც კი გვქონია ამ წლების განმავლობაში და ახლაც, მათ აქვთ ერთადერთი პასუხი, ისინი ხელს ოპონენტებისა და სხვა გარემოებებისაკენ იშვერენ. იმიტომ, რომ ნულოვანი განცდა ჰქონდათ საკუთარი პასუხისმგებლობის.

რა შუაშია საერთოდ პოლიტიკური ვითარება დღეს იმასთან, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი თვეები, როცა ვირუსის გავრცელების პროცენტულობა დაბალი იყო, სეზონისა და სხვა ფაქტორების გამო, ჩაკეტეს გაუაზრებლად და დამანგრევლად, არ გამოიყენეს მოსამზადებლად, კოვიდ საწოლები არ მოიმარაგეს, არ მოხდა დაყოფა სამედიცინო დაწესებულებების კოვიდ და არაკოვიდ დაწესებულებებად, „ცხელი ხაზი“ არ მოამზადეს დიდი დატვირთვისთვის, აღარ გავაგრძელებ, უამრავი ასეთი ჩამონათვალია და დღეს ვხედავთ სრულ ქაოსს, რომელსაც ეწირება ადამიანების სიცოცხლე. მთელი ქვეყანა ამ უმძიმეს მდგომარეობაშია, იმის გამო, რაც მთავრობამ არ გააკეთა და იმის გამო, რაც გააკეთა.

რა შუაშია აქციები მომზადებასთან მეორე ტალღისთვის, არაფერ შუაშია, მაგრამ ეს არის ხელწერა და, მე ვიტყოდი, პოლიტიკური დაღი ივანიშვილის სამარცხვინო რეჟიმის, ამ ოლიგარქის, მისი პოლიტიკური არარაობების და კლოუნების გარემოცვის, რომ საერთოდ არანაირი განცდა არ აქვთ იმის, რომ ხალხს უთხრან, რა ხედვა აქვთ, რას აკეთებენ, მხოლოდ ტალახის სროლა სხვისკენ, – განაცხადა ბოკერიამ.

მისივე თქმით, ხელისუფლებამ რესურსი, მომზადების ნაცვლად, თვითქებაზე დახარჯა.

– დახარჯა თვითტკბობაზე, ოპონენტების დემონიზებაზე და ახლაც იმავეს აგრძელებენ. ამასობაში ეს კრიზისი გაღრმავდება, არის სრული ქაოსი და მთავრობის და ამ ოლიგარქის ასეთი უტიფარი საქციელის გამო ფასს იხდის მთელი ქვეყანა, – განაცხადა ბოკერიამ.

გახარია მსხვილი ბანკების ხელმძღვანელებს შეხვდა

გუშინ, 24 ნოემბერს, პრემიერ-მინისტრმა ბიზნესისა და საფინანსო სექტორის წარმომადგენლებთან მომავალი წლის მაკროეკონომიკური პარამეტრები და პოსტპანდემიური ეკონომიკური აღდგენის გზები განიხილა

პანდემიით გამოწვეული მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენა საქართველოზე, მთავრობის ეკონომიკური გეგმა და ნაბიჯები, რომელთა გადადგმა ბიზნესისა და მოქალაქეების სოციალური მხარდაჭერის მიმართულებით იგეგმება – ამ საკითხებზე გამახვილდა ყურადღება საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიასა და ბიზნესისა და საფინანსო სექტორის წარმომადგენლების შეხვედრაზე, რომელიც მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.

საუბარი შეეხო საშუალოვადიან ეკონომიკურ პარამეტრებს, ასევე, მთავრობის ეკონომიკურ გეგმას მომდევნო წლების განმავლობაში, მათ შორის მომდევნო წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მაჩვენებლებს.

ბიზნესისა და საფინანსო სექტორის წარმომადგენლებმა ის ეკონომიკური გამოწვევები დაასახელეს, რომელთა ასახვა ეკონომიკური განვითარების საშუალოვადიან გეგმაში, მათი აზრით, მნიშვნელოვანია.

აღინიშნა, რომ კრიტიკულად მნიშვნელოვანია, ქვეყანა სწრაფად გამოვიდეს კრიზისიდან, მაქსიმალურად შენარჩუნდეს და აღდგეს სამუშაო ადგილები და გაუმჯობესდეს მოსახლეობის შემოსავლების დონე.

საუბარი შეეხო იმ ნაბიჯებს, რომელთა გადადგმა სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესისა და მოქალაქეების სოციალური მხარდაჭერის მიმართულებით იგეგმება.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ პოსტპანდემიურ პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება, კიდევ უფრო გაძლიერდეს კოორდინაცია და თანამშრომლობა საქართველოს მთავრობას, ბიზნესსა და ეროვნულ ბანკს შორის.

შეხვედრისას ასევე ყურადღება გამახვილდა პოსტპანდემიურ პერიოდში ფულად-საკრედიტო პოლიტიკასა და მონეტარულ პოლიტიკაზე, რასთან დაკავშირებითაც ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ ისაუბრა.

შეხვედრაში მთავრობის ეკონომიკური გუნდიდან მონაწილეობდნენ – ვიცე-პრემიერი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი მაია ცქიტიშვილი, ფინანსთა მინისტრი ივანე მაჭავარიანი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა.

დისკუსიას დისტანციურად შეუერთდა ეროვნული ბანკის პრეზიდენტი კობა გვენეტაძე. ხოლო ბიზნესის მხრიდან შეხვედრას ბიზნესასოციაციის პრეზიდენტი სოსო ფხაკაძე, „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორი არჩილ გაჩჩილაძე და „თიბისი ბანკის“ გენერალური დირექტორი ვახტანგ ბუცხრიკიძე ესწრებოდნენ.

მაია ცქიტიშვილი: „კორონავირუსის გავრცელება საპროტესტო აქციებს უკავშირდება“

ვიცე-პრემიერ მაია ცქიტიშვილის განცხადებით, კორონავირუსის გავრცელების ის დინამიკა, რაც დღეს ქვეყანაშია, საპროტესტო აქციებს უკავშირდება.

მისივე განმარტებით, ოპოზიციის მიერ დაგეგმილი საპროტესტო აქციები ვირუსის გავრცელების წყარო იყო.

– ყველამ ძალიან კარგად ვნახეთ ის აქტივობა, რომელიც იყო საარჩევნო პროცესში და მის შემდეგ. მე არ ვგულისხმობ აქ არჩევნების დღეს. მე ვგულისხმობ იმ უპასუხისმგებლო პოლიტიკურ კამპანიებს და აქციებს, რომლებიც კი არ მოუწოდებდნენ ამომრჩევლებს პირბადის გამოყენებისკენ, პირიქით, მოუწოდებდნენ დაუმორჩილებლობისკენ.

ამ შემთხვევაში, როცა ჩვენ ვსაუბრობთ მობილობის შემცირებაზე და ვხედავთ ასეთ აქციებს ქუჩებში, განსაკუთრებით იქ, სადაც არავითარი წესების დაცვა არ ხდება და მოწოდებებია, რომ წესების დაცვა არ მოხდეს, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ეს ყველაფერი არ აისახოს რიცხვებში.

ამ აქციებს უკავშირდება ის დინამიკა, რაც დღეისთვის გვაქვს. პოლიტიკური პროცესი არის ჩვენი კონსტიტუციური უფლება, შესაბამისად, ვერ შევაჩერებდით კონსტიტუციურად დადგენილ საარჩევნო და პოლიტიკურ პროცესს. აქედან გამომდინარე, შეზღუდვებზე მსჯელობა ვერ მოხდებოდა იმ პერიოდში, როცა ასეთი აქციები გვქონდა ქუჩებში.

მთავრობა არ აგვიანებს ამაზე მსჯელობას, მაგრამ ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა იყოს მიღებული ბიზნესთან კომუნიკაციის გზით, რასაც გარკვეული პერიოდი სჭირდება, – განაცხადა ცქიტიშვილმა.

ეკატერინე ტიკარაძე: „გადადგომას არ ვაპირებ“

ჯანდაცვის მინისტრის, ეკატერინე ტიკარაძის განცხადებით, ის თანამდებობის დატოვებას არ აპირებს.

აღნიშნულით ტიკარაძე გამოეხმაურა გავრცელებულ ინფორმაციას მისი თანამდებობიდან წასვლის შესახებ.

ტიკარაძის თქმით, ახლა ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა მას აქვს.

– თანამდებობის დატოვებას არ ვაპირებ, რადგან ვთვლი, რომ სწორედ ახლა არის ის დრო, როცა მე მაქვს ყველაზე მაღალი პასუხისმგებლობა და, შესაბამისად, ეს პროცესი გამარჯვებით უნდა დასრულდეს, – განაცხადა ტიკარაძემ.

„არასოდეს დამავიწყდება წამი, როცა ჩემ უკან რკინის კარი დაიხურა“

ნატალია ილიჩოვას ემოციური წერილი ციხიდან

საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის საქმეზე დაკავებული ნატალია ილიჩოვა ციხიდან ღია წერილს ავრცელებს, სადაც აღნიშნავს, რომ სიმართლის დასამტკიცებლად ბოლომდე იბრძოლებს. მის წერილს ტელეკომპანია „ფორმულა“ ავრცელებს.

„პირველ რიგში, მინდა მადლობა ვუთხრა ყველა იმ ადამიანს, ვინც გვერდში გვიდგას და გვამხნევებს, უამრავი წერილი მივიღე, სადაც მხარდაჭერას გვიცხადებენ, ეს ჩემთვის ძალიან ფასეულია. ამ მძიმე დღეებში სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ ფეხზე წამოვდექი, ძალა მოვიკრიბე და მზად ვარ ჩვენი სიმართლისთვის ვიბრძოლო. არასოდეს დამავიწყდება ის წამი, როდესაც ჩემს უკან რკინის კარი დაიხურა, და მივხვდი, რომ მძიმე წუთები იწყებოდა.

ამას შემდეგ ყოველდღე ველოდებოდი, რომ კარი ისევ გაიღებოდა და მეტყოდნენ, რომ თავისუფალი ვიყავი, ბოდიშს მომიხდიდნენ იმ მძიმე ბრალდების გამო, რითაც ერთ წამში წაშალეს მთელი ჩემი ცხოვრების ის დიდი ნაწილი, რაც ჩემს პროფესიას და სამსახურს შევალიე.

ცხოვრების შეგნებულ ნაწილს როდესაც სამსახურში ატარებ, მთელ შენს ცოდნას და გამოცდილებას დებ, იმაზე მეტი ხდება, ვიდრე უბრალოდ სამსახურია. მე საქართველოში დავიბადე და გავიზარდე და ამ ქვეყნის და პროფესიის ღალატი დამწამეს. ჩვენ უდანაშაულო ვართ და ამას აუცილებლად დავამტკიცებთ“ – წერს ნატალია ილიჩოვა.

შეგახსენებთ, რომ აზერბაიჯანთან საზღვრის დადგენის კომისიის წევრები, ივერი მელაშვილი და ნატალია ილიჩოვა, 7 ოქტომბერს დააკავეს. ორთვიანი წინასწარი პატიმრობა თბილისის საქალაქო სასამართლომ მათ 8 ოქტომბერს შეუფარდა.

ვახტანგ ჩიქოვანთან კონტაქტი ჰქონდა მის ადვოკატს, რომელსაც კორონავირუსი დაუდასტურდა

შაქარაშვილის მკვლელობის სასამართლო გადაიდო

ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის მკვლელობაში ბრალდებული 5 პირის სასამართლო პროცესი გადაიდო. აღნიშნულის მიზეზი ამავე საქმის სხვა ეპიზოდზე ერთ-ერთი დაკავებულის ადვოკატის კორონავირუსით დაინფიცირება გახდა.

სხდომის გადადების შუამდგომლობით სასამართლოს იმ ადვოკატებმა მიმართეს, რომელთაც ინფიცირებულ უფლებადამცველთან ჰქონდათ ახლო კონტაქტი. როგორც საქმის პროკურორმა დავით ყაზარაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, მოსამართლემ მხოლოდ 24 ნოემბრის სხდომა გადადო, მომდევნო სხდომისთვის კი ადვოკატებს ტესტირების პასუხის წარმოდგენა დაავალა.

ბრალდებულ ვახტანგ ჩიქოვანის ადვოკატის ლელა გოგოლაძის განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფთან იმ ადვოკატს ჰქონდა კომუნიკაცია, ვისაც კორონავირუსი დაუდგინდა. შესაბამისად, ადვოკატი ამბობს, რომ ბრალდებულებსაც ტესტირება უნდა ჩაუტარდეთ და აღნიშნულთან დაკავშირებით, ისინი სასჯელაღსრულების დაწესებულებას მიმართავენ.

– ვახტანგ ჩიქოვანთან კონტაქტი ჰქონდა მის ადვოკატს, რომელსაც კორონავირუსი დაუდასტურდა, აღნიშნულ ადვოკატთან კი, ვინაიდან 5 ადვოკატს ჰქონდა კომუნიკაცია, ისინი ამ მიზეზით სხდომაზე ვერ გამოცხადდნენ, თუმცა, პროცესს დისტანციურად დაესწრნენ.

მოსამართლემ მათ დაავალა შემდეგ სხდომაზე ტესტირების პასუხის წარმოდგენა. გასარკვევია ბრალდებულების ჯანმრთელობის მდგომარეობაც, არიან თუ არა ისინიც ინფიცირებულები, რადგან მათაც ჰქონდათ ადვოკატებთან

შეხება. აღნიშნულთან დაკავშირებით, სასჯელაღსრულების დაწესებულებას მივაწოდებთ ინფორმაციას, – განაცხადა გოგოლაძემ.

შემდეგი სასამართლო 26 ნოემბერს, 11:00 საათზე გაიმართება.

ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის განზრახ ჯგუფურად მკვლელობას არჩილ გაგნიძეს, ნიკოლოზ რევაზიშვილს, ვახტანგ ჩიქოვანს, ზ.ხ-ს და ა.ქ.-ს ედავებიან.

ბაჩალიაშვილის საქმის საიდუმლო მასალები პროკურატურამ ადვოკატებს არ მისცა

ახალგაზრდა პროგრამისტის, თამარ ბაჩალიაშვილის ოჯახის ადვოკატები გუშინ, 24 ნოემბერს, გრიფით საიდუმლო მასალებს უნდა გასცნობოდნენ, თუმცა პროკურატურამ საკითხი გადაავადა.

ბაჩალიაშვილის დედის, თეონა თამაზაშვილის, აზრით, პროკურატურა განზრახ აჭიანურებს საიდუმლო მასალების ადვოკატებისთვის გაცნობას.

– ამდენი ხანია, ველოდები მასალების გაცნობას. ნელ-ნელა ირკვევა, რომ თვითმკვლელობა არ ყოფილა და არც მუხლის გადაკვალიფიცირება უნდათ. არ გავჩერდები, სანამ სიმართლეს არ მივაკვლევ, – ამბობს თამაზაშვილი.

ადვოკატ მიხეილ რამიშვილის თქმით, საიდუმლო ერთადერთია – ჯგუფი, შემსრულებლები, ორგანიზატორები და დანაშაულის დამგეგმავი – მათ შეინწირეს ბაჩალიაშვილის სიცოცხლე.

შეგახსენებთ, რომ გასულ დღეებში, ამ საქმის ერთ-ერთი მოწმე, ე.წ. სატელიტის ფოტოების საკითხზე მტკიცებულებების ფალსიფიკაციისა და ცრუ ჩვენების მიცემის ბრალდებით დაკავებული დავით ფურცხვანიძე პატიმრობიდან გაათავისუფლეს.

თამარ ბაჩალიაშვილი 18 ივლისს გაუჩინარდა. 23 წლის პროგრამისტი თეთრიწყაროს რაიონში, მაწევნის ტყეში, საკუთარ მანქანაში გარდაცვლილი იპოვეს.

გამოძიების ვერსიით, ბაჩალიაშვილის სიკვდილი დიდი რაოდენობით მედიკამენტების მიღებამ გამოიწვია.

ხაშურში გალფის ბენზინის სადგურიდან 65 ლარი გაიტაცეს

დაკავებულია 2 პირი

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ალში ბენზინგასამართი სადგური დააყაჩაღეს.

თავდასხმა 23 ნოემბერს გვიან ღამით გალფის ბენზინგასამართ სადგურზე მოხდა. შენობაში ორი პირი თანხის მითვისების მიზნით შეიჭრა და მუქარის გამოყენებით ცდილობდა სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მითვისებას.

როგორც ბენზინგასამართზე მომუშავე ერთ-ერთი ადამიანი ამბობს, დამნაშავეებმა მხოლოდ მინიმალური რაოდენობის თანხის წაღება შეძლეს.

– თურმე თავდამსხმელები ეუბნებოდნენ, მოგვეცი ფული და არაფერი მოხდებაო. როგორც ვიცი, 65 ლარამდე თანხა წაიღეს, რკინის ლარიანი და ორლარიანები, სხვა ვერაფერი, – ამბობს გალფის თანამშრომელი.

პოლიციამ ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ბრალდებით 2 პირი დააკავა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ხაშურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2000 წელს დაბადებული გ.დ. და 2002 წელს დაბადებული ე.გ., ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ბრალდებით, ხაშურში, ცხელ კვალზე დააკავეს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა ხაშურის მუნიციპალიტეტში მდებარე ავტოგასამართი სადგური „გალფის“ ოპერატორს, 1952 წელს დაბადებულ მ.გ.-ს, ცივი იარაღის გამოყენებით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით თანხა გასტაცეს. პოლიციამ ორივე პირი მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავა. სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღები – ორი დანა ნივთმტკიცების სახით ამოიღეს. დაკავებულები დანაშაულს აღიარებენ.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ჯგუფურად ჩადენილ ყაჩაღობას გულისხმობს. დანაშაული 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“ – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა ფიცის დადების ცერემონია გაიმართა

უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა ფიცის დადების ცერემონია გაიმართა.

ფიცი 24-მა ახლად განწესებულმა მოსამართლემ დადო.

ია ბარამიძე, ქეთევან ბერეკაშვილი, ნინო გიორგაძე, ირმა გოგალაძე, ნინო გოგატიშვილი, ირინა გოგოლაძე, თეონა ეპიტაშვილი, გვანცა ვარდანიძე, გრიგოლ ვატტაძე, ვერიკო ზათიაშვილი, თეა თაყაძე, ქეთევან თხელიძე, ლაშა კლდიაშვილი, კონსტანტინე კოპალიანი, არჩილ კოჭლამაზაშვილი, ნათია მარშანია, ბაია ოტიაშვილი, გიზო უბილავა, ნინო შერბაკოვი, კობა ჩაგუნავა, გვანცა ჩიქოვანი, ლელა ცაგარეიშვილი, ირაკლი ხუსკივაძე, მიხეილ ჯინჯოლია სხვადასხვა რაიონულ(საქალაქო) სასამართლოში განწესდნენ.

ახლად განწესებული მოსამართლეები უფლებამოსილების განხორციელებას 2020 წლის 1 დეკემბრიდან შეუდგებიან.

საზეიმო ღონისძიებას უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი, წევრები და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები დაესწრნენ.

იუსტიციის უმაღლეს საბჭოში 2020 წლის ივნისში გამოცხადებულ მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსის ფარგლებში 36 მოსამართლე დაინიშნა.

შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ხელმძღვანელს შეხვდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი, ვაჟა სირაძე ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის – „სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების ხარისხის გაუმჯობესება საქართველოში“ – ხელმძღვანელს, ტერი სკაიფს შეხვდა.

შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს დანაშაულისა და საგზაო შემთხვევათა ანალიზის სისტემა და მისი ინტეგრირება სამინისტროს ერთიან ანალიტიკურ ქსელში: დანაშაულზე პირველადი რეაგირება და პატრულის ფუნქცია ამ პროცესში; საპატრულო პოლიციის როლი და დანიშნულება ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის პროცესში და სხვ.

შეხვედრის დასასრულს, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა მადლობა გადაუხადა პროექტის ხელმძღვანელს მხარდაჭერისთვის და სამომავლო თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა.

აღნიშნული პროექტი შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტთან მჭიდრო თანამშრომლობით, 2016 წლიდან ხორციელდება. მისი მიზანია სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მხარდაჭერა, კოორდინაცია და მონიტორინგი, ასევე, საერთაშორისო სტანდარტებისა და ვალდებულებების გათვალისწინებით, პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროში რეფორმების განხორციელების პროცესის ხელშეწყობა.

რესტორან „ვარაზთან“ 1 პირი დაჭრეს

თბილისში, სამართალდამცველებმა დააკავეს პირი, რომელმაც რესტორან „ვარაზთან“ ერთი ადამიანი დაჭრა.

მომხდარზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით დაიწყო რაც ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანებას გულისხმობს.

2020 წელს, 9 თვეში, ფემიციდის 19 ფაქტი დაფიქსირდა

გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი კამპანიის ფარგლებში, საქართველოს სახალხო დამცველმა, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, ონლაინკონფერენცია „ფემიციდის პრევენცია და მონიტორინგი“ გამართა.

ონლაინკონფერენცია მიზნად იმ ადგილობრივი და საერთაშორისო მონიტორინგის პრაქტიკების განხილვას ისახავდა, რომლებიც ქალთა გენდერული ნიშნით მოტივირებული მკვლელობების (ფემიციდის) პრევენციისთვის არსებობს.

ღონისძიებაზე მოხსენებით წარდგა გაეროს სპეციალური მომხსენებელი ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ დუბრავკა სიმონოვიჩი, რომელმაც ფემიციდთან ბრძოლის საერთაშორისო მექანიზმები და სხვადასხვა ქვეყნის წარმატებული პრაქტიკები მიმოიხილა.

ამას გარდა, კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდნენ გაეროს მუდმივი კოორდინატორი საქართველოში საბინე მაჰლი, შვედეთის ელჩი საქართველოში ულრიკ თიდესტრომი და საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში ლელა აქიაშვილი.

ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის შესახებ ისაუბრეს ექსპერტებმა საქართველოდან, არგენტინიდან და სერბეთიდან. გამომსვლელებმა ხაზი გაუსვეს ფემიციდის მონიტორინგის მექანიზმისა და პრევენციული ღონისძიებების განხორციელების მნიშვნელობას. შეხვედრას სამთავრობო უწყებების, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების, აგრეთვე, საქართველოში აკრედიტებული საერთაშორისო მისიების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

– საქართველოს სახალხო დამცველმა ფემიციდის მონიტორინგის მექანიზმი ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის დუბრავკა სიმონოვიჩის 2015 წლის რეკომენდაციით შექმნა. ამ 5 წლის განმავლობაში უკვე 5 სპეციალური ანგარიში მოვამზადეთ და არაერთი რეკომენდაცია გავეცით, რომელთა ნაწილი შესრულდა, – აღნიშნა მისასალმებელ სიტყვაში საქართველოს სახალხო დამცველმა ნინო ლომჯარიამ.

სახალხო დამცველის მიერ ფემიციდის შემთხვევების მონიტორინგის შედეგად, კვლავაც იკვეთება მსხვერპლის მიმართ სტერეოტიპული დამოკიდებულების, ქალთა სათანადო კვალიფიკაციისა და გენდერული ნიშნით მოტივირებული დანაშაულის სახელდების პრობლემები.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის მონაცემებით, 2020 წლის 9 თვის განმავლობაში (იანვარი-სექტემბერი) 19 ქალის მკვლელობის ფაქტი დაფიქსირდა, მათ შორის 12 შემთხვევაში ოჯახური დანაშაულის ნიშანი გამოიკვეთა, 7 შემთხვევაში კი – სხვა მოტივი. ამასთან, დაფიქსირდა 20 ქალის მკვლელობის მცდელობის ფაქტი, რომელთაგან 11 შემთხვევა ოჯახური დანაშაულის ნიშნით იყო ჩადენილი.

კონფერენციის შეჯამებისას საქართველოს სახალხო დამცველმა ნინო ლომჯარიამ აღნიშნა, რომ ფემიციდის შემთხვევების მონაცემების შეგროვების გაუმჯობესების მიუხედავად, სისტემური ხარვეზების აღმოსაფხვრელად, საქმეთა შესწავლისას კომპლექსური მუშაობაა მნიშვნელოვანი. შეგახსენებთ, ფემიციდის მონიტორინგს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი 2016 წლიდან, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით ახორციელებს. მონიტორინგის მიზანი პრობლემის რეალური მასშტაბის, გამოყენებული დაცვისა თუ პრევენციული ღონისძიებების კუთხით არსებული ხარვეზების შეფასებაა.

ტრამპი ბაიდენისთვის ხელისუფლების გადაბარებას დათანხმდა

დონალდ ტრამპი არჩეული პრეზიდენტის, ჯო ბაიდენისთვის ხელისუფლების გადაბარების პროცესის დაწყებას დათანხმდა.

პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ფედერალურმა სააგენტომ, გენერალური სერვისების ადმინისტრაციამ, რომელიც მეთვალყურეობას უწევს ხელისუფლების გადაცემის პროცესს, „უნდა გააკეთოს ის, რისი გაკეთებაც საჭიროა“, თუმცა პირობა დადო, რომ არჩევნების ოფიციალური შედეგების წინააღმდეგ ბრძოლას არ შეწყვეტს.

– ბრძოლას გავაგრძელებთ. მაგრამ ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, მე ვურჩევ ემილისა და მის გუნდს, რომ გააკეთონ ის, რაც უნდა გაკეთდეს პროტოკოლთან დაკავშირებით და ჩემს გუნდსაც იგივეს გაკეთებისკენ მოვუწოდე, – დაწერა დონალდ ტრამპმა ტვიტერში.

გენერალური სერვისების ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ იგი აღიარებს ბაიდენს, როგორც „აშკარა გამარჯვებულს“. ადმინისტრატორის, ემილი მერფის ინფორმაციით, არჩეული პრეზიდენტისთვის 6.3 მილიონი აშშ დოლარი იქნება ხელმისაწვდომი.

ბაიდენის გუნდი გადაბარების პროცესის დაწყებას მიესალმა.

ქორწილი აშშ-ში კორონავირუსის აფეთქებით და შვიდი ადამიანის დაღუპვით დასრულდა

ამერიკის მენის შტატში გაიმართა საქორწინო ცერემონია, რომლის შემდეგაც 177 ადამიანი კორონავირუსით დაინფიცირდა. შვიდი მათგანი გართულებების შედეგად გარდაიცვალა.

აღნიშნული ღონისძიება პატარა ქალაქში გაიმართა, რომლის მოსახლეობა 4,5 ათას მცხოვრებს არ აღემატება. აღსანიშნავია, რომ მანამდე ამ ქალაქში დაინფიცირების არც ერთ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

ქორწილის თარიღიდან ხუთი დღის შემდეგ კოვიდ-19-ის პირველი დადებითი ტესტები დაფიქსირდა. ქორწილის დამსწრე ორმა პიროვნებამ ექიმებს ყელის ტკივილის, ტემპერატურის და ხველების ჩივილით მიმართა. შემდეგ კიდევ სამს აღმოაჩნდა მსგავსი სიმპტომები.

კონტროლისა და პროფილაქტიკის ცენტრმა გაარკვია დაინფიცირებულთან კონტაქტები და გაარკვიეს, რომ სწორედ ამ ღონისძიებაზე მოხდა ინფექციის აფეთქება. შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ ქორწილის სტუმრების რაოდენობამ დასაშვებს გადააჭარბა და რომ ისინი სამედიცინო ნიღბებს არ ატარებდნენ და მანძილს არ იცავდნენ.

მოგვიანებით 55 სტუმრიდან 27 დაინფიცირებული აღმოჩნდა. გარდა ამისა, კოვიდ-19-ით დაავადდნენ რესტორნის თანამშრომლები და ინფექციამ აქტიურად დაიწყო გავრცელება მთელ ქალაქში.

აღსანიშნავია, რომ დაღუპულებსა და საავადმყოფოებში გადაყვანილთა შორის არც ერთი არ ყოფილა უშუალოდ საქორწინო ცერემონიის მონაწილე.

სარკოზი სასამართლოს წინაშე წარდგება

საფრანგეთის ექსპრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი სასამართლოს წინაშე წარდგება. ორშაბათისთვის დანიშნული პროცესი ხუთშაბათამდე გადაიდო.

სარკოზის კორუფციულ სქემებში მონაწილეობისა და დანაშაულებრივი ჯგუფის შექმნის გარდა, მოსამართლეზე ზეწოლაც ედება ბრალად. ბრალდების მხარე ამტკიცებს, რომ ყოფილი პრეზიდენტი მოსამართლისგან ინფორმაციის გამოძალვას ესწრაფოდა. სარკოზი საფრანგეთის პირველი პრეზიდენტია, რომელიც სასამართლოს წინაშე წარდგება.

ევროკავშირი მოდერნასგან კორონავირუსის ვაქცინის 160 მილიონ დოზას შეიძენს

ევროკავშირმა კოვიდ 19-ის საწინააღმდეგო კანდიდატი ვაქცინის შეძენის მიზნით ამერიკულ კომპანია მოდერნასთან შეთანხმებას მიაღწია.

ამის შესახებ ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლეიენმა გუშინ, 24 ნოემბერს, განაცხადა.

– მოხარული ვარ, განვაცხადო, რომ კოვიდ-19-ის ვაქცინასთან დაკავშირებით ხვალ ახალ კონტრაქტს გავაფორმებთ, – განაცხადა ურსულა ფონ დერ ლეიენმა.

მისივე თქმით, შეთანხმება ევროკავშირს მოდერნას მიერ შექმნილი ვაქცინის 160 მილიონამდე დოზის შეძენის შესაძლებლობას აძლევს.

შეგახსენებთ, გასულ კვირას კომპანია მოდერნამ განაცხადა, რომ მის მიერ შექმნილ ექსპერიმენტულ ვაქცინაზე ჩატარებული კლინიკური ცდის შუალედურმა შედეგმა აჩვენა, რომ პრეპარატი კოვიდ 19-ის პრევენციის კუთხით 94.5%-ით ეფექტურია.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ქალმა ტყუპები ორი წლის ინტერვალით გააჩინა

ინგლისის ქალაქ ტონტონში ქალმა ტყუპები ორი წლის ინტერვალით გააჩინა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

33 წლის კარენ მარკსმა განაცხადა, რომ სამი წლის წინ თავის შეყვარებულ ჯეიმსთან ერთად ხელოვნური განაყოფიერების საავადმყოფოს მიმართა. დონორის კვერცხუჯრედის და ჯეიმსის სპერმატოზოიდების წყალობით წყვილმა ხუთი ემბრიონი მიიღო.

კარენმა წარმატებით გადაიტანა ხელოვნური ჩასახვის პროცედურა და 2018 წლის 1 სექტემბერს გააჩინა ბიჭი, რომელსაც კემერონი დაარქვეს.

– ჩვენ არ გვსურდა, რომ კემერონი ოჯახში ერთადერთი ბავშვი ყოფილიყო, აცხადებს ქალი. მშობიარობის შემდეგ ის ისევ შეეცადა ხელოვნური ჩასახვის პროცედურა გაევლო, მაგრამ ნაყოფი დაკარგა. შემდგომი მცდელობა კი წარმატებული გამოდგა და შედეგად 2020 წლის 15 ნოემბერს კარენს შეეძინა გოგონა იზაბელა.

– ძალიან უცნაურია ტყუპების ორი წლის ინტერვალით გაჩენა, – აღნიშნა ქალმა, – მე ყოველთვის მსურდა, რომ ოთხი შვილი მყოლოდა. უარეს შემთხვევაში კემერონი ექვსი წლის იქნება, როდესაც ბოლო ბავშვს გავაჩენ, თუმცა ეს შეიძლება უფრო გვიანაც მოხდეს, ვინაიდან მათთვის (ემბრიონებისთვის) ვარგისიანობის ვადა არ არსებობს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კინოთეატრ „რუსთაველის“ მფლობელები მშენებლობის ნებართვას ელოდებიან

ხელოვნებათმცოდნე თამარ ამაშუკელმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ სულ მალე თბილისში უკანასკნელი ძველი კინოთეატრიც აღარ იქნება:

– აბა, გამოემშვიდობეთ თბილისის უკანასკნელ ძველ კინოთეატრს.

განაცხადი შეტანილია და ელოდება მშენებლობის ნებართვას.

„შენობის ფუნქციები:

-1 სარდაფის სართულზე განთავსდება კინოდარბაზი 104 ადამიანზე. მისი ვესტიბიული, საზოგადო სველი წერტილები, საინჟინრო და დამხმარე ფართები.

შენობის ნულ სართულზე კი განთავსდება ცენტრალური კინოდარბაზი ატრიუმში 165-170 ადამიანზე, ვესტიბიულში კინომუზეუმი, კინობიბლიოთეკა კაფის ფუნქციით და კინოდარბაზის წინ არსებული მცირე რესტორანი. აგრეთვე სასტუმრო რეცეფცია და ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციებისთვის საჭირო დამხმარე ფართები.

1, 2, 3, 4, 5 სართულებზე კი სასტუმრო ნომრებია განთავსებული, სასტუმროსთვის საჭირო დამხმარე ფართებით, ერთი გამონაკლისით, რომ მე-4 სართულზე დამატებულია კინობარი ლაუნჯი და ტერასა“

პ.ს. არ იდარდოთ კინომანებო, სარდაფში იქნება კინო ტუალეტების გვერდზე.

ვიცი, ყველას გაგიხარდებათ ამ შედევრის ავტორი, მელიქიშვილის გამზირზე ისტორიის ინსტიტუტის დამაქცეველი არქიტექტორი – ირაკლი შარაშიძეა.

საზოგადოება

„ნიჭიერი 2020“-ის გამარჯვებული ლაშა გელაშვილი გახდა

ილუზიონისტი ლაშა გელაშვილი შოუ „ნიჭიერის“ გამარჯვებული გახდა. მან ფინალურ საკონკურსო ტურში მაყურებლისგან ყველაზე მეტი ხმა მიიღო – სულ დაფიქსირებული 158 247 ხმიდან ლაშა გელაშვილს 26.15 პროცენტი ერგო.

„ნიჭიერი 2020“-ში მაყურებლისგან მიღებული ხმების რაოდენობა ფინალისტებზე ასე გადანაწილდა:

ლაშა გელაშვილი 26.15 %, ანსამბლი „ჭვანა“ 16.50 %, ჯგუფი „მოზაიკა“ 11.72 %, ანსამბლი „გურჯაანი“ 11.30 %, მარიამ ნადიბაიძე 10.91 %, ანსამბლი „ლაგუშედა“ 7.83 %, გერსამიების ოჯახი 7.10 %, ჯგუფი „თი-ემ-სი“ 3.69 %, ლევან გრიგოლია 2.67 %, ნიკა პეტრიაშვილი 1.29 %, ჯგუფი „წეროები“ 0.83 %.

წლევანდელი ნიჭიერის რჩეული ლაშა გელაშვილი ლიდერბეთისგან საჩუქრად მიიღებს ბინას ბათუმში. კომპანია სანდომი კი მას ყოველთვიურ 1000-ლარიან დაფინანსებას გადასცემს.

ლაშა გელაშვილი, „ნიჭიერი 2020“-ის გამარჯვებული:

– უღრმესი მადლობა ყველას. მადლობა თითოეულ თქვენგანს გულშემატკივრობისთვის, იმათ, ვინც 1 ზარი მაინც გამოაგზავნა ჩემს მხარდასაჭერად, იმათ, ვინც ვერ დარეკეს, მაგრამ მთელი გულით მგულშემატკივრობდნენ. ჩემს ოჯახის წევრებს და განსაკუთრებით ჩემს ძმას გიო გელაშვილს, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ჩემი ნომრების ორგანიზებაში. მადლობა ჩემს მეგობრებს, სანათესავოს, თანამშრომლებს, ჩემს გამომწერებს და მაყურებელს, იუთუბ კოლეგებს, რომლებიც გვერდში დამიდგნენ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მათგანი არც კი მიცნობდა. ძალიან დიდი მადლობა ჩემი სფეროს თითოეულ წარმომადგენელს, რომლებიც გვერდში მედგნენ და მამხნევებდნენ, მოხარული ვარ, რომ ჩვენ ყველამ ერთად საილუზიო სფერო კიდევ ერთი ნაბიჯით წინ წავწიეთ. ეს არის ერთიანი გამარჯვება მეგობრებო!

ნიჭიერის ისტორიაში პირველად გაიმარჯვა ილუზიონისტმა. არ არსებობს მიზანი, რომელსაც ადამიანი ვერ მიაღწევს, არასდროს გაჩერდეთ, მთავარია დაუღალავი შრომა, მოთმინება და წინსვლა. მადლობა უფალს, რომ მომცა საშუალება, საკუთარი შესაძლებლობები კიდევ ერთხელ მეჩვენებინა მაყურებლისთვის. გისურვებთ ყველას წარმატებებს და საკუთარი მიზნების განხორციელებას.

გიგა მაქარაშვილი: „ძალიან მძიმე დღეშია ჩვენი ქვეყანა. გავაკეთოთ ის, რაც შეგვიძლია“

დასაწყისი მე-8 გვერდზე

და თუ ჩვენი რაოდენობა იქნება 50-100 ან მეტი, ახლავე დავიწყებ შესაბამისი ინფრასტრუქტურის, სამოსის, ტრანსპორტის, გაიდლაინების, ტრენინგების ორგანიზებას (აქაც, რაც მეტი ჩავერთვებით, უფრო სწრაფად შევძლებთ საქმის დაწყებას).

საჭირო იქნება სწრაფი ტრენინგების გავლა და იმედია ვიპოვით კომპეტენტურ ხალხს, ვინც საბაზისო ცოდნას გაგვიზიარებს!

საქმე ბევრია და სურვილის შემთხვევაში აუცილებლად გამოჩნდება საქმე, რომლის კეთებასაც შეძლებთ და შედეგად მივეხმარებით ექიმებს მეტი სიცოცხლის გადარჩენაში!

გავაკეთოთ ის, რაც შეგვიძლია:

გავიტანოთ ნაგავი საავადმყოფოდან;

საწყობიდან პალატებამდე ან ტრანსპორტიდან საწყობამდე ვზიდოთ წამლებისსაწოლები;

გავართოთ ინფიცირებული ბავშვები;

ხმამაღლა და მხატვრულად ვუკითხოთ წიგნი ნებისმიერ პაციენტს(ებს);

დავეხმაროთ პაციენტებს საკვების მიღებაში;

გულმოდგინედ დავალაგოთ ფოიე, პალატა, რეანიმაცია, საოპერაციო;

გავეგზავნოთ ნებისმიერ ინფიცირებულს ნებისმიერ ადგილას, ნებისმიერი ნივთის/საკვების/სამოსის მოსატანად;

ვიმუშაო ცხელ ხაზზე;

შეძლებისდაგვარად მივეხმაროთ სახლში გამოკეტილ ინფიცირებულებს;

უფრო კომპეტენტურებმა მოიწერეთ, რა შეგვიძლია სამედიცინო განათლების არ მქონე ხალხს, ჯანდაცვის სისტემის და ჩვენი მოქალაქეების დასახმარებლად!

არაა აუცილებელი, 24 საათი გადადოთ თავი ამ საქმისთვის. მოიწერეთ თქვენთვის ხელსაყრელი დრო, როცა შეგეძლებათ ჩაერთოთ ამ კეთილ და ძალიან მნიშვნელოვან საქმეში.

გაიხსენეთ, რა მაგრები ვართ ხოლმე, ერთმანეთის გვერდში დგომისას.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

წმინდა მარინეს სახელობის ეკლესია რეაბილიტირებულია

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ნებართვითა და ფონდი „ქართუს“ დაფინანსებით ქარელის მუნიციპალიტეტის, სოფელ ბრეძას წმინდა მარინეს სახელობის ეკლესიის რეაბილიტაციასთან დაკავშირებული სამუშაოები განხორციელდა.

სამუშაოების დროს მოეწყო ფლეთილი ქვის თაროკარნიზი ადგილობრივი ქვით, ასევე – კირდუღაბის ფენა კრამიტის ქვეშ. სახურავი გადაიხურა ქართული კრამიტით კირდუღაბზე. ფასადებსა და ინტერიერში ამოიგოზა ქვის ნაკერები სპეცკირხსნარით. მოეწყო ხის კარ-ფანჯარა ლითონის ელემენტებით, სარინელი კი კლდის ფლეთილი ქვით.

სოფელ ბრეძას წმინდა მარინეს ეკლესია დარბაზული ტიპისაა და ადრე შუა საუკუნეების განეკუთვნება, იგი მოზრდილი ფლეთილი და რიყის ქვებითაა ნაგები. აფსიდა ნახევარწრიულია. მას ვიწრო სარკმელი და ორი ნიში აქვს. გადახურულია კამარულად და მასზე მოხატულობის კვალი შეიმჩნევა.

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით. კეთდება მხოლოდ კბილის მოსახსნელი პროთეზები, გარანტიით. არის იტალიური, რუსული წარმოშობის. ტელ: 555-72-64-98.

გიორგი ქინქლაძე: „ამ ნაკრებს პირველ ტაიმში მოვუგებდით“

საქართველოს 2-გზის საუკეთესო ფეხბურთელი, აიაქსისა და მანჩესტერ სიტის შემტევი გიორგი ქინქლაძე კარიერის ბოლოს ყაზანის რუბინში თამაშობდა. იქ, სადაც ამჟამად ქართული ფეხბურთის მომავალი ხვიჩა კვარაცხელია ირჯება. ქინქლაძემ რუსულ მედიასთან ქართულ ფეხბურთზე ისაუბრა და იხუმრა, რომ ამჟამინდელ ნაკრებს მათი თაობა „დაანგრევდა“.

– მაკედონიელთა კაპიტანმა გორან პანდევმა კვარაცხელიას საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი უწოდა. ეთანხმებით მას?

– ეს მისი მოსაზრებაა. ხვიჩას საუკეთესოდ მონათვლა ნაადრევი და საშიშია. ხვიჩა კვარაცხელიას და გიორგი ჩაკვეტაძეს პირველ ადგილზე ვაყენებ. ისინი ქართული ფეხბურთის ტალანტები არიან. სამწუხაროდ, ჩრდილოეთ მაკედონიასთან მოედანზე არც ერთი არ ყოფილა...

– კვარაცხელიაზე ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში ლაპარაკობენ. საქართველოში ადრე მასზე ამდენს საუბრობდნენ?

– დიახ, ყველა მასზე ლაპარაკობდა. მაგრამ ბევრი ასეთი ნიჭიერიც მახსოვს, რომლებიც შემდეგ სადღაც გაქრნენ. თუმცა, ხვიჩა სხვაა – ის ადრეული ასაკიდან ბუნებით სპორტსმენი იყო. მუდმივად ფიქრობს იმაზე, თუ როგორ უნდა გახდეს უკეთესი. მას დიდ ჩემპიონატში სათამაშოდ ყველა მონაცემი აქვს. რუბინში ლიდერი 19 წლის ასაკში გახდა და ეს ბევრ რამეს ამბობს.

– ინგლისსა და ნიდერლანდებში, სადაც თქვენ თამაშობდით, მასზე ბევრს გეკითხებიან?

– დიახ, კვარაცხელიაზე კითხვები მუდმივადაა. ცოტა ხნის წინ მხოლოდ ის აინტერესებდათ, როგორი ფეხბურთელია და როგორ იყო მისი საქმეები. მაგრამ მისთვის კონტრაქტის შეთავაზების მცდელობები ჯერ არ ყოფილა. ის უბრალოდ ყველასთვის საინტერესოა. ამავე დროს, უნდა გვესმოდეს, რომ იმავე ინგლისში, უპირველესად, უყურებენ იმას, თუ როგორ თამაშობს ფეხბურთელი თავის ეროვნულ გუნდში. მან საერთაშორისო მატჩებში მეტი უნდა აჩვენოს. ამიტომ, ევრო 2020-ზე გასვლა ახალი კლუბის მოძიებაში ხელს მნიშვნელოვნად შეუწყობდა. მიმაჩნია, რომ მას რუსეთში კიდევ ერთი წელი თამაში მაინც სჭირდება. ასე ვეუბნები ყველა ჩემს მეგობარს, ვინც მას სხვა ქვეყნებიდან აკვირდება. რუბინმა ხვიჩა უნდა გაუშვას მხოლოდ ძალიან დიდი კლუბის შეთავაზების შემთხვევაში. მაგალითად, თუ რუბინს ნიდერლანდების არც ისე დიდი კლუბი მიმართავს, ყაზანელებმა არ უნდა გაუშვან. ზოგადად, მოხარული ვარ, რომ ხვიჩა სწორედ რუბინში გაიხსნა. მართალია, მის თამაშებს მუდმივად არ ვუყურებ, მაგრამ ზოგიერთი მატჩი მინახავს.

– ასევე რუბინის ფეხბურთელია ზურიკო დავითაშვილი, რომელიც ამ სეზონს იჯარით როტორში ატარებს. ისიც ხვიჩას დონისაა?

– ორივე ძალიან ახალგაზრდაა და კიდევ ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს. მაგრამ ნიჭის მხრივ, ჩემი პირადი აზრია, ხვიჩა და ჩაკვეტაძე ამჟამად ყველაზე მაღლა დგანან.

– როცა ბერდიევმა ზურიკო წლინახევრის წინ მიიწვია, მასთან დაკავშირებით ხომ არ გილაპარაკიათ?

– მაშინ არა, დიდი ხანია ურთიერთობა არ გვქონია. მაგრამ დღემდე

მიმაჩნია, რომ ბერდიევი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი მწვრთნელი იყო.

– მასთან ერთად მხოლოდ ერთი წელი და თანაც კარიერის ბოლოს ითამაშეთ. თქვენთვის ასეთი მწვრთნელი რატომ გახდა?

– ის ქართველ ფეხბურთელებს ძალიან დიდ პატივს სცემს. 33 წლის ვიყავი და ძველი ტრავმის გამო, სრულ მატჩებს ვერ ვთამაშობდი. ერთხელ ბერდიევმა თქვა, რომ კარიერის დასრულების შემდეგ კლუბში დარჩენა შემეძლო. მას სურდა, რომ რუბინში დავრჩენილიყავი. ბევრ მწვრთნელთან მიმუშავია, მაგრამ განსაკუთრებით სასიამოვნო იყო ასეთ მწვრთნელთან და ადამიანთან მუშაობა. ფეხბურთელი ასე ყველაზე არ იტყვის.

– ცნობილია, რომ ის ფეხბურთელებს კარგად გრძნობდა. გახსოვთ ეს ისტორიები?

– ის განსხვავებული იყო, ხუმრობდა ხოლმე და კარგი იუმორის გრძნობა აქვს. ეს თითქმის 15 წლის წინ მოხდა, ყველაფერი აღარ შემორჩა მეხსიერებას... იყო შემთხვევა ქართულ თემაზეც. ჩემი კარგი მეგობარი ლაშა სალუქვაძე გუნდს დაახლოებით ჩემთან ერთად შეუერთდა. მაშინ რუსულად ცუდად ლაპარაკობდა. ერთხელ, თეორიაზე ბერდიევმა რამდენჯერმე ჰკითხა ლაშას, ესმოდა თუ არა ყველაფერი, რასაც ამბობდა. სალუქვაძემ ყველა კითხვაზე უპასუხა – დიახ. შემდეგ ბერდიევმა სპეციალურად დაუსვა მას კითხვები და თეორიის ნაწილის გახსენება სთხოვა. გაირკვა, რომ მას მთელი ამ ხნის განმავლობაში არაფერიც არ ესმოდა. ძალიან კარგი შთაბეჭდილებები დამრჩა არა მხოლოდ ბერდიევზე, არამედ იმ წლების რუბინზე.

– სალუქვაძესთან და თქვენი თაობის სხვა ქართველებთან – კალაძესთან, არველაძესთან, კობიაშვილთან, აშვეთიასთან ერთად დღევანდელ საქართველოს ნაკრებს აჯობებდით?

– პირველი ტაიმის შემდეგ ჩვენს სასარგებლოდ 3:0 იქნებოდა. ძალიან ძლიერი გუნდი გვყავდა. ინგლისი, იტალია, საფრანგეთი, გერმანია, მაშინ უფრო ძლიერები ჩანდნენ, ვიდრე ახლა. დღეს ფეხბურთი თანაბრდება. ევროპის ჩემპიონატზეც მეტი გუნდი თამაშობს.

– თქვენი აზრით, ქართულ ფეხბურთში ახალგაზრდა ფეხბურთელების მომზადება გაუმჯობესდა?

– ამას ვერ ვიტყვი. დიდი პლუსია აკადემიების გახსნა, სადაც ნორმალურ პირობებში ვარჯიშის შესაძლებლობა ბევრ ბავშვს აქვს. ზოგადად, სახელმწიფომ ფეხბურთში უფრო მეტი ინვესტიცია ჩადო. მაგრამ, ჯერჯერობით, დიდ წინსვლას ვერ ვხედავ. საქართველოს ჩემპიონატი კლასით ბევრ ევროპულ ლიგას ჩამორჩება, ბევრი დიდი მოთამაშე არც არის. ჩვენს ფეხბურთს გაზრდა სჭირდება. ადრე დიდი პრობლემა იყო მაღალი ხარისხის აკადემიების არარსებობა, რადგან ყოველწლიურად უამრავი ნიჭიერი ფეხბურთელი ჩნდებოდა. მაგრამ ქვეყანაში ვერ ვხედავდით ხარისხიან მოედნებსა და გამოცდილ მწვრთნელებს. ახლა მდგომარეობა უკეთესობისკენ მიდის, მაგრამ ქართული ფეხბურთის წინსვლას კიდევ მრავალი წელი დასჭირდება.

ფეხბურთი

23 ნოემბერი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

ბარნლი-კრ.პალასი 1:0

ვულვზი-საუთჰემპტონი 1:1

სატუნინიო ცხრილი:

1.ტოტენჰემი	9	6	2	1	21-9	20
2.ლივერპული	9	6	2	1	21-16	20
3.ჩელსი	9	5	3	1	22-10	18
4.ლესტერი	9	6	0	3	18-12	18
5.საუთჰემპტონი	9	5	2	2	17-13	17
6.ევერტონი	9	5	1	3	19-16	16
7.ასტონ ვილა	8	5	0	3	19-11	15
8.ვესტ ჰემი	9	4	2	3	15-10	14
9.ვულვზი	9	4	2	3	9-10	14
10.კრ.პალასი	9	4	1	4	12-13	13
11.მანჩესტერი	8	4	1	3	13-14	13
12.არსენალი	9	4	1	4	9-10	13
13.სიტი	8	3	3	2	10-11	12
14.ლიდსი	9	3	2	4	14-17	11
15.ნიუკასლი	9	3	2	4	10-15	11
16.ბრაიტონი	9	2	3	4	13-15	9
17.ბარნლი	8	1	2	5	4-12	5
18.ფულემი	9	1	1	7	9-18	4
19.ვესტ ბრომვიჩი	9	0	3	6	6-18	3
20.შეფილდი	9	0	1	8	4-15	1

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ოსნაბრიუკი-ნიურნბერგი 1:4

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ბილბაო-ბეტისი 4:0

სატუნინიო ცხრილი:

1.სოსიედადი	10	7	2	1	21-4	23
2.ატლეტიკო	8	6	2	0	18-2	20
3.ვილიარეალი	10	5	4	1	14-10	19
4.რეალი	9	5	2	2	15-10	17
5.გრანადა	9	4	2	3	10-14	14
6.კადისი	10	4	2	4	8-11	14
7.სევილია	8	4	1	3	11-8	13
8.ბილბაო	9	4	0	5	11-9	12
9.ვალენსია	10	3	3	4	17-16	12
10.ხეტაფე	9	3	3	3	8-9	12
11.ელჩე	8	3	3	2	8-9	12
12.ბეტისი	10	4	0	6	12-21	12
13.ბარსელონა	8	3	2	3	15-9	11
14.ოსასუნა	9	3	2	4	8-9	11
15.ალავესი	10	2	4	4	9-12	10
16.ეიბარი	10	2	4	4	6-9	10
17.ვალიადოლიდი	10	2	3	5	10-15	9
18.ლევანტე	9	1	4	4	9-14	7
19.უესკა	10	0	7	3	8-16	7
20.სელტა	10	1	4	5	8-19	7

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ალბასეტე-ალმერია 1:2

იტალია. სერია ბ

სალერნიტანა-კრემონეზე 2:1

საფრანგეთი. ლიგა 2

გენგამი-აიაჩო 2:2

ჩესეთი. პრემიერლიგა

უფა-ხიმკი 1:2

ბელგია. ა დივიზიონი

ლეუვენი-სტ.ტრუიდენი 2:2

საბერძნეთი. სუპერლიგა

ვოლოსი-ოფი 1:4

თურქეთი. სუპერლიგა

გალათასარაი-ქაისერი 1:1

პოლონეთი. ექსტრაკლასა

პიასტი-ლეხია 2:0

იაგელონია-პლოცკი 5:2

დანია. სუპერლიგა

კოპენჰაგენი-რანდერსი 1:2

შვედეთი. ალსვენსკა

გიოტებორგი-ჰაკენი 1:1

ნორჩიოპინგი-ფალეკნბერგი 4:1

სირიუსი-მილაბი 0:1

ლანჩხუთს შვედები ესტუმრებიან

შვეიცარიის ქალაქ ნიონში გაირკვა, რომ ქალთა ჩემპიონთა ლიგის მეთექვსმეტედფინალში ლანჩხუთის მეტოქე შვედური როსენგარდი იქნება.

როგორც თავიდანვე იყო ცნობილი, პირველ მატჩს საკუთარ მოედანზე განუთესავი გუნდი ითამაშებდა. შედეგად, ლანჩხუთელები 9 ან 10 დეკემბერს დაუხვდებიან შვედებს, ხოლო საპასუხო შეხვედრას 15 ან 16 დეკემბერს სტუმრად ჩაატარებენ.

ლანჩხუთის მეტოქე გასულ წელს ჩემპიონთა ლიგაზე არ ყოფილა. მანამდე 2018-19 სეზონში მერვედფინალში ითამაშა. დავიტოვოთ იმედი, რომ წელს იქ ვერ მოხვდებიან. საერთოდ კი, ევროთასებზე ასპარეზობის ისტორიაში საუკეთესო შედეგი შვედური კლუბისთვის მეოთხედფინალია.

შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგის ძირითად ბადეში მოსახვედრად ლანჩხუთმა 2 ეტაპი გაიარა. საქართველოს 2019 წლის ჩემპიონმა ჯერ ყაზახური ოკჟეტპესი 2:1 სტუმრად დამატებით დროში დაამარცხა, ხოლო შემდეგ ასევე სტუმრად რუმინულ კლუჟს 1:0 მოუგო.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ტაქსამ ხმამაღალი ყეფით ჩიხუახუა პუმასგან გადაარჩინა

ამერიკის კოლორადოს შტატის დასახლება ევერგრინში ტაქსამ თავისი მეგობარი მეტისი ჩიხუახუა პუმას თავდასხმისგან იხსნა.

ტაქსა სახელად უინსტონი და ჩიხუახუა სახელად მიიო პატრონის სახლის წინ ეზოში სეირნობდნენ. მოულოდნელად მიიოს თავს ახალგაზრდა პუმა დაესხა.

უინსტონი მეგობარს გადასარჩენად მიეჭრა და მას მტაცებელი გააფთრებული ყეფით მოაშორა. პუმამ პოტენციურ ნადავლს თავი ანება და გაიქცა.

მომხდარის შემდეგ ჩიხუახუა პატრონებმა ვეტერინართან წაიყვანეს. ძაღლმა მარჯვენა თვალი დაკარგა, ქალა-ტვინის დაზიანება მიიღო, თუმცა უინსტონის წყალობით ცოცხალი გადარჩა.

– ის სულ ცხრა კილოგრამს იწონის, მაგრამ 90 კილოგრამიანის სიმამაცე აქვს, – ამაყად განაცხადა ძაღლების პატრონმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ქართული ხალხური ცხენოსნური თამაში-შეჯიბრი; 2. ლუთერანული ეკლესია; 3. მწვანე ფერის ნაყოფის მქონე ციტრუსოვანი მცენარე; 4. სათეატრო ცეკვის ხელოვნება; 6. შებოლილი ძეხვის ერთ-ერთი სახეობა; 9. საქართველოში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 11. საქართველოს პრემიერ-მინისტრი; 15. აჭარული ცეკვა; 16. კომპიუტერული თაღლითი; 17. წითელი ფერის მშრალი ქართული სამარკო ღვინო; 19. ბრიტანეთის ნაწილი; 21. ხელის ზამბარიანი სასწორი; 22. აეროპორტი პეკინში.

თარაზულად: 5. ხევსურული ტანსაცმელი; 7. მდინარე ამსტერდამში; 8. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 10. ბეისბოლისტის ერთ-ერთი ამპლუა; 12. უნგრული ღვინო; 13. შაქრის წარმოების ცენტრი საქართველოში; 14. წმინდა ადგილების მოსალოცად მიმავალი მორწმუნე; 18. ზღვის დიდი კიბორჩხალა; 20. ლიხტენშტეინის დედაქალაქი; 23. ლირიკულ-სატრფიალო ხასიათის სპარსულ-აზერბაიჯანული სიმღერა; 24. ტანსაცმლის მწარმოებელი ესპანური ფირმა; 25. საფრანგეთის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 26. ემილ ზოლას რომანი; 27. მონასტერი დუშეთის რაიონში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ინდაური; 2. უკრაინა; 3. ჰიუსტონი; 4. კაკაჩი; 5. ბოცვერი; 8. მარტელი; 9. იოსემიტე; 12. ჩეფერინი; 13. ფსირცხა; 16. ვერდიქტი; 17. იაგუარი; 19. აწყური; 20. პუანტი.

თარაზულად: 6. ანტიკვარი; 7. ლაქტოზა; 8. მესტია; 10. ტურბინა; 11. ლეგო; 14. არსენალი; 15. აფერისტი; 18. თეორია; 21. წახნაგი; 22. ტუნგი; 23. ივრითი; 24. ციხისძირი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ნადური; 2. ქაცვი; 3. არიანი; 4. აიმაკი; 6. გულიაში; 9. ბლუზი; 11. ხარფუხი; 15. ლითოსფერო; 17. კულინანი; 19. აბატისა; 21. ადიდასი; 22. რაბათი.

თარაზულად: 5. მაიოლიკა; 7. უნიკუმი; 8. ამლახუ; 10. ალუმინი; 12. კლოპი; 13. უნაბი; 14. ყიზილბაში; 18. კაფია; 20. ჰუმუსი; 23. ფაუსტი; 24. იორი; 25. ბესონი; 26. თორი; 27. ფსირცხა.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.openext.ge/akhalitaoba

25 ნოემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.3073

ევრო — 3.9215

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.3918

100 რუსული რუბლი — 4.3481

ამინდის პროგნოზი 25 ნოემბრისათვის

ჟერარ პიკე: „რთულია ასეთ დროს გუნდის მიტოვება“

ბარსელონას ცენტრალურმა მცველმა ჟერარ პიკემ თავის ტრავმაზე ისაუბრა და თქვა, რომ მისთვის რთულია ასეთ დროს გუნდის მიტოვება, მაგრამ მას სხვა გზა არა აქვს და ის შეეცდება, რომ ტრავმა მალე მოიშუშოს:

– ძალიან სამწუხაროა, რომ ტრავმა მივიღე, მაგრამ ამ შემთხვევაში ვერაფერს იზამ და შექმნილ სიტუაციას უნდა შეეგუო. იმედი მაქვს, ბარსელონა ჩემ გარეშე მოახერხებს წარმატების მიღწევას და მე ეს ძალიან გამიხარდება. გუნდმა ეს კრიზისი უნდა დაძლიოს.

სალაჰი კორონავირუსისგან განიკურნა

ლივერპულის ეგვიპტელი ფორვარდი მოჰამედ სალაჰი კორონავირუსისგან ბოლომდე განიკურნა და ის სათამაშოდ მზად არის, თუმცა შესაძლოა მან ლივერპულის უახლოესი შეხვედრა გამოტოვოს, რადგან სალაჰი ჯერ ოპტიმალურ ფორმაში არ არის.

სალაჰმა საკმაოდ დიდი პერიოდი გამოტოვა, რადგან ვირუსამდე მას მცირე ტრავმაც აწუხებდა.

უეინ რუნი: „მინდა, რომ მწვრთნელი გავხდე“

დერბი ქაუნთის ფორვარდმა უეინ რუნიმ განაცხადა, რომ სურს, მომავალში მწვრთნელი გახდეს და, შესაძლოა, ეს სწორედ დერბი ქაუნთიში მოხდეს.

რუნი არ გამორიცხავს, რომ ის მოთამაშე მწვრთნელი იყოს, თუ მას ამის შესაძლებლობა ექნება:

– მინდა, რომ ჩემი ცხოვრების შემდეგი ეტაპი მწვრთნელობას მივუძღვნა, მაგრამ ჯერ ისევ ფეხბურთელი ვარ, ამიტომ ჩემი საქმე მოედანზე გამოსვლაა. თუ დერბის გაწვრთნას შემომთავაზებენ, უარს ნამდვილად არ ვიტყვი.

პოგბას იუვენტუსში დაბრუნება სურს

მანჩესტერ იუნაიტედის ნახევარმცველს პოლ პოგბას გუნდის დატოვება სურს და ის შესაძლოა იუვენტუსში დაბრუნდეს, რომელიც 2016 წელს დატოვა.

იუვენტუსს პოგბას შეძენის დიდი სურვილი არ აქვს, რადგან გუნდი კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის გამო ფინანსურ სირთულეებს განიცდის, მანჩესტერი კი პოგბას იაფად არ დათმობს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ასტროპროგნოზი

25 ნოემბრისათვის

ვერძი – დღეს ძალიან გაუმართლებთ ხელოვნების სფეროში მომუშავე ადამიანებს. პრობლემების მოგვარებასა და ჩანაფიქრის რეალიზებაში ხელი არ შეგეშლებათ. **კურო** – არასტაბილური დღეა. მიზნის მიღწევას საკმაო შრომა დასჭირდება. **ტყუპები** – კონფლიქტური დღეა. საოჯახო საქმეების მოგვარებაც დიდ დროსა და ენერგიას წაგართმევთ. **კირჩხიბი** – ვარსკვლავები გირჩევენ, ეს დღე შემოქმედებით საქმიანობას მიუძღვნათ. გუნება-განწყობას ვერაფერი გაგიფუჭებთ. **ლომი** – მამაკაცებისთვის იღბლიანი პერიოდია. განსაკუთრებით იოლად მოახერხებთ საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარებას. **ქალწული** – გელით ახალი საინტერესო ნაცნობობა. მეგობრული და საქმიანი კონტაქტები გაამართლებს. **სასწორი** – სახიფათო დღეა. ერიდეთ ინტრიგებში ჩართვას, თორემ პრობლემები შეგექმნებათ. **ღრიანკალი** – მშვიდი და სიხარულით აღსავსე პერიოდია. თავს ლაღად და თავისუფლად გრძნობთ. **მშვილდოსანი** – ნებისმიერი საქმიანობა წარმატებული იქნება და კმაყოფილებას მოგგვრით. გელით ურთიერთობა საინტერესო ადამიანებთან. **თხის რქა** – დიდი ხნის გადაუჭრელ პრობლემას, სავარაუდოდ, დღეს მოაგვარებთ. კეთილისმყოფელი დღეა კარიერული წინსვლისათვის. **მერწყული** – პიროვნული მომხიბვლელობა თქვენს წარმატებას ხელს შეუწყობს. საკუთარ უნარებს მთელი სისრულით წარმოაჩენთ. **თევზები** – აგრესიული, პროვოკაციული და მაცდური დღეა. თავს ნურაფრით გაინებივრებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– როგორ უნდა დასრულდეს ომი?

– სროლა უნდა შეწყვიტონ.

– და როგორ უნდა დავამარცხოთ კორონავირუსი?

– სუნთქვა უნდა შევწყვიტოთ...

•••

ექიმი პაციენტს ეუბნება:

– სამწუხაროდ, ყველაფერს ვერ მოგაჭრით, ზოგიერთი რამის მკურნალობა მოგვიწევს...

•••

მამაკაცი აფთიაქში გამყიდველ გოგონას ეუბნება:

– გოგონი, თუ შეიძლება, წამალი მომეცით.

– რომელი?

– თეთრი.

– აქ უამრავი თეთრი წამალი გვაქვს.

– ჰოდა, ერთი ცალი მომეცით.

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– საიდუმლოს შენახვა შეგიძლია?

– მე კი შემიძლია, მაგრამ, იმათ არ შეუძლიათ, ვისაც მე ვუყვები...

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– იცი, პარლამენტში დეპუტატად მეძავი აურჩევიათ...

– მერე?

– მერე ის, რომ პირველივე სხდომაზე სიტყვით გამოსვლა დაიწყო ასეთი მიმართვით: „ძვირფასო კოლეგებო...“

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ინდირა ჯგერნაია „არ გაჩერდეს“ ჩემპიონია

მომღერალი ინდირა ჯგერნაია ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის მუსიკალური გადაცემის „არ გაჩერდეს“ ჩემპიონია.

ინდირამ ყველა თავის კოლეგას აჯობა და ჩემპიონის ტიტულიც დამსახურებულად მოიპოვა.

ინდირას „არ გაჩერდეს“ წამყვანებმა ჩემპიონისთვის განკუთვნილი სპეციალური პრიზიც გადასცეს.

თამარ ივერი პირბადეზე სახელმწიფო დროშის დახატვის წინააღმდეგია

ოპერის მომღერალი თამარ ივერი მიიჩნევს, რომ მეშჩანობა და პროვინციალიზმია, როდესაც შენი ქვეყნის სახელმწიფო დროშას პირბადედ იყენებ:

– ჩემი აზრით, პროვინციალიზმის და მეშჩანობის აშკარა გამოხატულებაა შენი ქვეყნის დროშის პირბადის პირზე სადორბლად აკვრა. ეს დროშის შეურაცხყოფაა! მაშინ საცვლებიც დაამზადონ დროშების. მით უმეტეს, გამაღიზიანებელია, როცა ამ ყველაფერს შენი ქვეყნის „პრეზიდენტი“ და წამყვანი ამერიკელი პოლიტიკოსი და ელჩი აკეთებს.

სანდრა გადელია საბავშვო ევროვიზიაზე მეშვიდე ნომრად იმღერებს



მუსიკალური შოუს „რანინას“ გამარჯვებული მომღერალი სანდრა გადელია წელს საქართველოს საბავშვო ევროვიზიაზე წარადგენს.

კენჭისყრის შედეგად გადაწყდა, რომ საქართველოს წარმომადგენელი 2020 წლის საბავშვო ევროვიზიაზე 29 ნოემბერს მე-7 ნომრად წარდგება მაყურებლის წინაშე. წლევანდელ საბავშვო ევროვიზიაში 12 ქვეყანა მონაწილეობს.

სანდრა შეასრულებს გიგა კუხიანიძის მიერ დაწერილ სიმღერას „შენ მარტო არა ხარ“, რომელსაც ტექსტი მომღერალმა თემო საჯაიამ დაუწერა, კლიპი კი ძველ თბილისში, რეზო გაბრიაძის თეატრის წინ იქნა გადაღებული.

მატილდა გვარლიანი რობერტო კავალის სარეკლამო კამპანიაში მონაწილეობს



ულამაზესი ქართველი მოდელი მატილდა გვარლიანი მსოფლიოში ცნობილი იტალიელი მოდის დიზაინერის, რობერტო კავალის, სარეკლამო კამპანიაში მონაწილეობს.

ფოტოსესიის ამსახველი სურათები რობერტო კავალის ოფიციალურმა გვერდმა ინტერნეტში გაავრცელა, სადაც მატილდა დიზაინერის მიერ გამოშვებულ ჩანთებს უკეთებს რეკლამას.

მატილდა გვარლიანი ლუქ მოდელს მენეჯმენტის მოდელია და ამჟამად მსოფლიოში ყველაზე ცნობილ სამოდელო სააგენტოში – ნექსთ მოდელსში მუშაობს.

თემურ ცაგურია კონცერტს ჩაატარებს

მომღერალი თემურ ცაგურია პანდემიის მიუხედავად, კონცერტის ჩასატარებლად ემზადება:

– ძნელბედობის ჟამია საქართველოში, კორონავირუსთან ვიბრძვით, როგორც ნამდვილ ხელჩართულ ომში მტრის წინააღმდეგ – ყურთან ტყვიები სისინებენ, გვერდით მეომარნი გვაკლდება. ჩვენ წინ მივიწევთ მტრის დასამარცხებლად. ვცოცხლობთ მტრის ჯინაზე, როგორც ამ ჩემს სიმღერაში ხალხური სიბრძნე გვასწავლის „სანამ ცოცხალ ვარ, ვახარებ ჩემთა ვარდთა და იათა.“ აგერ უკვე ერთი წელია, რაც ამერიკიდან ჩამოსულს მხოლოდ ერთადერთი კონცერტი დამცალდა დევნილებისთვის. ახლა ჩემს მეგობარ მუსიკოსებთან ერთად გადავწყვიტე, რომ ჩავატაროთ მოკლე კონცერტი აუდიტორიის გარეშე – თქვენთვის ჩემო ინტერნეტ მეგობრებო. ამაში დამეხმარება ხმის ჩამწერი სტუდია „ქვიშის ქალაქი“ და რესტორანი „კაპარჭინა“. კონცერტი სავარაუდოდ დეკემბრის შუა რიცხვებშია მონიშნული.

გიგა მაქარაშვილი: „ძალიან მძიმე დღეშია ჩვენი ქვეყანა. გავაკეთოთ ის, რაც შეგვიძლია“

სამოქალაქო აქტივისტი გიგა მაქარაშვილი სოციალურ ქსელში არასამედიცინო განათლების მქონე მოსახლეობას მოუწოდებს, რომ დავდგეთ ერთმანეთის გვერდით და საქმე შევუმსუბუქოთ სამედიცინო პერსონალს.

გიგა მაქარაშვილი:

– ძალიან მძიმე დღეშია ჩვენი ქვეყანა. ჯანდაცვის სფერო და, შესაბამისად, ჩვენი და ჩვენი ახლობლების ჯანმრთელობა საშინელი რისკების წინაშეა!

მოხალისეებს შეგვიძლია საქმე შევუმსუბუქოთ ექიმებს, ქოლცენტრის თანამშრომლებს, მძღოლებს, სანიტრებს.

ამ პოსტის ქვეშ შევიყაროთ მსურველები

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ჯოსვოხდი ১



შვეულად: 1. უღელტეხილი კავკასიონზე; 2. ხელჩართული ორთაბრძოლის ქართული სკოლა; 3. კუნძულოვანი სახელმწიფო სპარსეთის ყურეში; 4. საეკლესიო ლოცვათა, საგალობელთა კრებული; 5. შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების მიერ გამომუშავებული ნივთიერება; 8. ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის პრაქტიკულ ღონისძიებათა ერთობლიობა; 9. სახლზე დაშენებული არასრული სართული; 12. უკმაყოფილების მძაფრი გამოხატვა; 13. ზღვისპირა კურორტი სამეგრელოში; 16. მდინარე გაგრაში; 17. ქართული მინერალური წყალი; 19. ქართული ხალხური ზღაპარი; 20. დილის სადილი.

თარაზულად: 6. ერთი და იგივე ქიმიური ელემენტის არსებობა სხვადასხვა მარტივი ნივთიერებების სახით; 7. პირობითი ნიშანი გეოგრაფიულ რუკაზე; 8. სატრფიალო ხასიათის მეგრული ქალ-ვაჟის ცეკვა; 10. სასტუმროს ერთ-ერთი ტიპი; 11. ქვით ნაგები ღობე; 14. ტანსაცმლის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 15. ხალხური ზეპირსიტყვიერება; 18. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 21. ყურის ექიმი; 22. ღვინის სასმისი; 23. ქვის ხანის უძველესი პერიოდი; 24. ძველი გერმანული ტომი, რომელმაც დაარბია და გაძარცვა რომი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა